# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 19 ივნისი 2004 №139 (2158) | ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

**იტალია 1 – შვედეთი 1**

## კარატე-გოლი იბრაჰიმოვიჩისგან

# ზლატან სუპერგოლოვიჩი



ჰაუსი

უილიამსი



ჯეიმსი

## ფედერაცია მალე ზანგს გააჩენს

 აი, ამ სამ კუპრივით შავ ზანგთაგან ერთი იქნებ ქართველი გახდეს. გვარის გამოცვლას და ენის სწავლასაც არავინ მოსთხოვს, საქმისთვის ქართული პასპორტიც კმარა. საქართველოს კალათბურთის ფედერაცია ეროვნული ნაკრებისთვის გამთამაშებელს ნბა-ში ეძებს და სელექცია ვლადიმერ სტეფანიასთვის დაუვალებია. ვოვამაც შეარჩია სამი რიგიანი ჯეელი და შორეული ჯორჯიის სახელით თამაშიც შესთავაზა . ამ სამიდან ორი „დეტროიტში" სულ ორიოდ დღის წინ გაჩემპიონებული მაიკ ჯეიმსი და შემონდ უილიამსი თითქმის თანახმა არიან, მესამემ, ვოვას ყოფილმა თანაგუნდელმა ედი ჰაუსმა კი ჯერ შორს დაიჭირა.

| იტალია | 18 ივნისი<br>C ჯგუფი. II ტური<br>პორტუ. დრაგაუ | შვედეთი |
|---|---|---|
| 1 | | 1 |

1:0 კასანო (37), 1:1 იბრაჰიმოვიჩი (85)

**იტალია:** 1 ბუფონი; 13 ნესტა, 5 კანავარო, 2 პანუჩი, 19 ძამბროტა; 21 პირლო; 8 გატუზო, 20 პეროტა; 18 კასანო; 9 ვიერი, 7 დელ პიერო.

მწვრთნელი: ჯოვანი ტრაპატონი

შეცვლა: კასანო — 14 ფიორე (70), გატუზო — 15 ფავალი (76), დელ პიერო — 16 კამორანეზი (82)

**შვედეთი:** 1 ისაკსონი; 3 მელბერგი, 15 იაკობსონი, 7 ნილსონი, 5 ედმანი; 6 ლინდეროტი; 21 ვილჰელმსონი, 9 ლიუნგბერგი; 8 ა. სვენსონი; 10 იბრაჰიმოვიჩი, 11 ლარსონი.

მწვრთნელები: ტომი სოდერბერგი და ლარს ლაგერბეკი

შეცვლა: სვენსონი — 16 კალსტრიომი (55), ვილჰელმსონი — 18 იონსონი (67), ედმანი — 20 ოლბოკი (77)

გაფრთხილება: გატუზო (39), კანავარო (46), ედმანი (54), ძამბროტა (58), ლინდეროტი (75)
მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია). 44 926 მაყურებელი

ჯარიმა: 16-22; კუთხური: 10-5; კარისკენ დარტყმა: 11-4; კარში დარტყმა: 9-4; თამაშგარე: 6-1

**ჯოვანი ტრაპატონი**
ჩემი აზრით, სანამ იბრაჰიმოვიჩი გაიტანდა, ძამბროტას ეუხეშნენ და მსაჯს ჯარიმა უნდა დაენიშნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრისტიან ვიერი

### პაპუნა კედია

# ტრაპატონი? სადაა პატრონი!

თუ ვინმე იტალიისა და შვედეთის ნაკრებთა შეხვედრაში ფრანჩესკო ტოტის, მის აურას, აჩრდილს, გავლენას ან რაიმე ასეთს ეძებდა, ამაოდ დამშვრალა. დისკვალიფიცირებული ვარსკვლავი პირმშვენიერ სატრფოსთან, ილარი ბლაზისთან ერთად ტრიბუნაზე იჯდა, თუმცა უფრო სრულყოფილად წარმოდგენილი გახლდათ ინტერნეტში, ასეთ მისამართზე: **www.giava.com/sputott/.** იქ ნახატი ფრანჩესკო თქვენს ხელთაა, ეკრანზე დანიელები დარბიან, თქვენ კი მიზანში უნდა გადააფურთხებინოთ. თუ გაარტყამთ, ნახატი-ტოტი თქვენსკენ მოტრიალდება და იზეიმებს. თერთმეტი სწორი მიფურთხების შემდეგ ვარსკვლავი პირმშვენიერ ილარის ხელს გადახვევს.

თერთმეტი სწორად შერჩეული იტალიელი კი ნიშნავს მაღალი დონის, სწრაფ, ტექნიკურ, აზრიან თამაშს, რომელსაც ძნელად ვინმე თუ დაუდგება. ჩვენი აზრით, აქ ტოტის ვარსკვლავობა თუ მოედანზე ყოფნა-არყოფნა არაფერ შუაშია, აქ მთავარი ნახევარდაცვის დაკომპლექტება გახლდათ და შვედებთან შეხვედრაში „სკუადრა აძურამ“ თავიდან სწორედ ამ ამოცანას გაართვა თავი: ჯენარო გატუზო, ანდრეა პირლო და სიმონე პეროტა, აქეთ-იქიდან შევსებული აწეული მცველებით, ჯანლუკა ძამბროტათი და კრისტიან პანუჩით ძალიან დიდი სიმძლავრის შუა ხაზი გამოდგა.

თუ თამაშის წინა დღეებში მეტოქეთა ბანაკებიდან გამოსული ცნობები და მოსაზრებები გახსოვთ, ისიც გეხსომებათ, რომ ჯანლუკა ძამბროტამ იტალიელთა წარმატების ერთ-ერთ აუცილებელ პირობად შვედებზე სწრაფად სირბილი დასახა და შედეგად თამაში მთელი 90 თუ 96 წუთის განმავლობაში ელვისებური გამოდგა, მაგრამ...

მაგრამ აქამდე დაწერილიდან ისე გამოდის, რომ „სკუადრა აძურამ“ მოიგო, მაშინ, როდესაც შვედებმა თავის წილი სრულიად დამსახურებული ფრე მოიპოვეს.

წინა შეხვედრასთან შედარებით სკანდინაველებს არ ჰყავდათ ტედი ლუკიჩი, რომელმაც იმ დღეს ნეკნი დაიზიანა და ამიტომ მისი ადგილი ნახევარმცველმა მიკაელ ნილსონმა დაიკავა, ხოლო მოედნის შუაში ლინდეროტი დადგა.

საბოლოოდ მატჩი ძალიან სასეირო გამოდგა და იგი ორმა საინტერესო გოლმა დაამშვენა. პირველად, პირველ ტაიმში, 37-ე წუთზე იტალიელებმა გაიტანეს. ეს ასე მოხდა: მარჯვენა ფრთიდან პანუჩიმ ჩაჰკიდა შვედების საჯარიმოში, სადაც „რომას“ თავდამსხმელმა, ანტონიო კასანომ თავი წაჰკრა ბურთს, მიმართულება შეუცვალა და ბადეში შეაგდო. სკანდინაველებმა კი 85-ე წუთზე გაათანაბრეს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროისთვის ინიციატივა და ბურთი უკვე მთლიანად შვედებს ჰქონდათ, ხოლო იტალიელთა მწვრთნელმა, ჯოვანი ტრაპატონიმ მოედნიდან კასანო და ალესანდრო დელ პიერო გაიყვანა, მათ ადგილას სტეფანო ფიორე და მაურო კამორანეზი გამოიყვანა — რაც აქცენტის დაცვაზე გადატანას ნიშნავდა და შეიძლება შეცდომაც იყო.

ასე და ამგვარად, 85-ე წუთზე შვედების წამოწყებული მორიგი სწრაფი და ემოციური შეტევა იმით დამთავრდა, რომ კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი ახტა-დახტა და ზლატან იბრაჰიმოვიჩის მოხერხებული ჰაერ-ქუსლურით ჯანლუიჯი ბუფონის კარში შევარდა.

შესაცოდი იყო იტალია? რასაკვირველია, „სკუადრა აძურა“ ჩინებული გახლდათ მთელი შეხვედრის განმავლობაში, მაგრამ იმავდროულად გავიმეორებთ იმას, რაც ზემოთ ვთქვით: შვედეთმა დამსახურებულად გაათანაბრა.

ჯოვანი ტრაპატონი: „ყველაფერი ვიღონეთ მოსაგებად, ბევრი საგოლე მომენტიც შევქმენით, მაგრამ შვედთა მეკარემ ბრწყინვალედ ითამაშა. მეორე ტაიმში დაღლა დაგვეტყო, მათ კი ფლანგებზე იაქტიურეს. ჩემი აზრით, სანამ იბრაჰიმოვიჩი გაიტანდა, ძამბროტას ეუხეშნენ და მსაჯს ჯარიმა უნდა დაენიშნა. ბულგარეთთან ასე თუ ვითამაშებთ, ალბათ მოვიგებთ, თუმცა დარწმუნებული ვარ, ურთულესი მატჩი გველის. რაც შეეხება კასანოს, მან ლამაზი გოლი შეაგდო და ერთს კიდევ იმსახურებდა“.

ილარი ბლაზით თავმომწონე მოფურთხალმა ფრანჩესკო ტოტიმ ანტონიო კასანოსა და ზლატან იბრაჰიმოვიჩის გოლებს ტრიბუნიდან უცქირა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 6:1 | 4 |
| დანია | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 4 |
| იტალია | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ბულგარეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:7 | 0 |

III ტური: 22 ივნისი
**იტალია — ბულგარეთი**
**დანია — შვედეთი**



REUTERS



**პლამენ მარკოვი**

ჩემი ფეხბურთელები ცუდად მოიქცნენ. წაგებაც ღირსეულად უნდა შეგვეძლოს. პროფესიონალ მოთამაშეებს მსგავსი საქციელი არ ეკადრებათ.

## ბულგარეთი 0 — დანია 2

**18 ივნისი**
C ჯგუფი. II ტური
ბრაგა. მუნიციპალი

0:1 ტომასონი (44), 0:2 გრონკიაერი (90)

**ბულგარეთი**

1 ზდრავკოვი

3 კირილოვი, 22 სტოიანოვი

2 ვ. ივანოვი, 4 ი. პეტკოვი

19 ს. პეტროვი, 15 ხრისტოვი

13 პეევი, 17 მ. პეტროვი

21 იანკოვიჩი

9 ბერბატოვი

მწვრთნელი: პლამენ მარკოვი

შეცვლა
ი. პეტკოვი — 5 ზაგორჩიჩი (40), ივანოვი — 11 ლაზაროვი (51), იანკოვიჩი — 8 მ. პეტკოვი (81)

**დანია**

1 სორენსენი

4 ლაურსენი, 3 პენრიქსენი

6 პელეგი, 5 ნ. იენსენი

7 გრავესენი, 15 დ. იენსენი

9 ტომასონი

19 რომედალი, 10 იორგენსენი

11 სანდი

მწვრთნელი: მორტენ ოლსენი

შეცვლა
რომედალი — 8 გრონკიაერი (23), იორგენსენი — 14 კ. იენსენი (72)

გაფრთხილება: კირილოვი (4), ნ. იენსენი (10), სტოიანოვი (50), სანდი (58), ს. პეტროვი (77), ზაგორჩიჩი (80), ხრისტოვი (82), ს. პეტროვი (82), მ. პეტროვი (84). გაძევება: ს. პეტროვი (82)
მსაჯი: ლუსილიუ კორტეს ბატისტა (პორტუგალია). 24 131 მაყურებელი

ჯარიმა: 19-18; კუთხური: 1-8; კარისკენ დარტყმა: 5-5; კარში დარტყმა: 1-12; თამაშგარე: 0-3

**მორტენ ოლსენი**

ბულგარელები ამჯერად უკეთ გამოიყურებოდნენ, ვიდრე შვედებთან, მაგრამ ჩვენ ძალიან კარგად ვითამაშეთ დაცვაში და მათი შეცდომებით ვისარგებლეთ

# ბუნებრივი პეიზაჟი: სლავები სახლში

REUTERS ბრაგადან

ვაჟა ხუციშვილი

ბულგარეთისთვის წუხელ ევროპის ჩემპიონატი დასრულდა.

პლამენ მარკოვის გუნდში ბუნტი ჯერ კიდევ პორტუგალიაში გამგზავრებამდე ატყდა. ფეხბურთელები ჰონორარის მომატებას ითხოვდნენ. ეს ამბავი საბოლოოდ ჩაცხრა, მაგრამ შვედეთთან მარცხმა ახალი კონფლიქტი გამოიწვია.

მოთამაშეებმა, კაპიტან სტილიან პეტროვის თამადობით, სერბული წარმოშობის მცველ პრედრაგ პაჟინის მოკვეთა ითხოვეს. მარკოვმა პაჟინი გუშინ ძირითად შემადგენლობაში არ ათამაშა, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა. დაცვის ცენტრი ისეთივე უსუსური იყო, როგორც შვედებთან. აწეწილ ნაკრებს წარმატების შანსი არ ჰქონდა და ორი წაგებაც სავსებით ლოგიკურია.

პირველი ტაიმი „ვიკინგთა“ წყალობით საინტერესო იყო, ხოლო მეორეში, ფეხბურთის ნახვას კარსუკან აწოწილი კლდისა და მთის ყურება სჯობდა.

დანიელებს ნაღდად ძლიერი ფლანგელები ჰყავთ, ბულგარელ მცველებს თავბრუ დაახვიეს. მარკოვის შეგირდები მეტოქის იერიშებს ქაოსურად, მაგრამ იგერიებდნენ. იესპერ გრონკიაერის შესვლამდე მარტინ იორგენსენი გამოირჩეოდა. მისი დარტყმული ზდრავკოვმა მოიგერია, მოგვიანებით კი იორგენსენს მცველმა ბოლოწამს აჯობა.

გრონკიაერმა დაშავებული დენის რომედალი შეცვალა და მის პირველივე პასს კინაღამ გოლი მოჰყვა. გრავესენის დარტყმული მცველს მოხვდა, გადმოვარდნილ ბურთს ლაურსენმა დაჰკრა და ოდნავ ააცილა.

ტომას გრავესენს იტალიასთან მატჩში არ უთამაშია და მისი დაბრუნება ვიკინგთა შეტევებს აშკარად დაეტყო. „ევერტონის“ ლეგიონერმა მოხდენილი პასით იონ დალ ტომასონი ზდრავკოვს პირისპირ შეატოვა. ფორვარდი მეკარეს გასცდა, მაგრამ მახვილი კუთხიდან ცარიელ კარში ბურთი ვერ შეაგდო.

ბულგარელებს ერთი ნაღდი მომენტი ჰქონდათ. ბერბატოვმა მეტოქის საჯარიმოში მარტინ პეტროვს ქუსლით დაუბრუნა ბურთი, მაგრამ პეტროვმა უხეიროდ დაარტყა.

„ვიკინგები“ ტაიმის ბოლო წუთზე დაწინაურდნენ. ბურთი იორგენსენმა მიიღო, ეულად მყოფ დალ ტომასონს მიუგორა და „მილანის“ ფორვარდმა იოლად გაიტანა.

შესვენების შემდეგ დანიელები დაცვაში ჩასხდნენ, ბულგარელები კი საცოდავად გამოიყურებოდნენ. საკუთარი სისუსტით განაწყენებულმა მარკოვის შეგირდებმა მეტოქის ფეხებზე ნადირობა დაიწყეს. მსაჯსაც ყვითელი ბარათის ამოღება არ დაზარებია, რამაც სტილიან პეტროვი „შეიწირა“ და იგი მოედნიდან მიაბრძანეს.

ლუსილიო ბატისტამ მატჩში ცხრა მოთამაშე გააფრთხილა და მათ შორის შვიდი ბულგარელი.

დანიელები შეხვედრის ბოლოს მიეძალნენ ზდრავკოვის კარს და იესპერ გრონკიაერმა მეკარე მეორედ დაამწუხრა.

მორტენ ოლსენმა ნახევარმცველი შეაქო: „იესპერის შეყვანას არ ვაპირებდი. თვითონ მითხრა, რომ მზადაა და მან ეს გოლით დაამტკიცა. ბულგარელები ამჯერად უკეთ გამოიყურებოდნენ, ვიდრე შვედებთან, მაგრამ ჩვენ ძალიან კარგად ვითამაშეთ დაცვაში და მათი შეცდომებით ვისარგებლეთ“.

„ჩემი ფეხბურთელები ცუდად მოიქცნენ. წაგებაც ღირსეულად უნდა შეგვეძლოს. პროფესიონალ მოთამაშეებს მსგავსი რამ არ ეკადრებათ. მე ვიცი, რომ დანია კონტრშეტევაზე კარგად თამაშობს, მაგრამ იძულებული ვიყავით შეგვეტია. მეტოქემ დაიმსახურა ის გამარჯვება“ — განაცხადა პლამენ მარკოვმა.

REUTERS ბრაგადან

იონ დალ ტომასონმა ზდრავკო ზდრავკოვს შანსი არ დაუტოვა

# რეპორტაჟი ავტობუსიდან

**კოიმბრა** არის მთებს შეფენილი და მზეს მიფიცხებული კოხტა ქალაქი, რომელიც არ მდებარეობს ზღვის ნაპირას და რომელიც გაწყობილია პალმებითა და ზვრებით. ხოლო კოიმბრას სტადიონი „სიდადე“ მდებარეობს ვაკეზე, აშენებულია ძველი რეჟიმის დროს და საოცრად ჰგავს საბჭოთა სტადიონებს, თუმცა ევრო 2004-ის მასპინძლებს ყველანაირად უცდიათ, რომ ის ევროპულ სტანდარტზე მოექრისტიანებინათ და თანამედროვე არენისთვის დაემგვანებინათ. ეს გამოსვლიათ, ვინაიდან დიქტატურის დროს ნაშენები ყველაფერი ხალვათია და შიგნით სამოძრაოდ „სიდადე“ უმჯობესია, ვიდრე თანამედროვედ ნაგები, ციცაბოტრიბუნებიანი „ბესა“ ქალაქ პორტუში, თუმცა, ცხადია, „ბესას“ მეტი სიმყუდროვე აქვს.

კოიმბრაში თამაშობდა ინგლისის ნაკრები, რაც ჩემზე უკეთაც მოგეხსენებათ და ამ საქმიდან ის გამოვიდა, რომ უეინ რუნი, რომელიც უკვე აშკარად იკაფავს გზას ევროპული სახელისკენ, კიდევ ერთ, ამჯერად საერთაშორისო რეკორდს მისწვდა: ევროპის ჩემპიონატების ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი შეიქნა, გოლი რომ გაუტანია. სწორედ რომ ამ ფაქტის აღსანიშნავად აახლეს ჟურნალისტებს დუბლის შემსრულებელი ყრმა ვარსკვლავი „სიდადეს“ სარდაფში, სადაც მან დასმული სამი კითხვიდან ვერც ერთს ვერ უპასუხა.

რუნის ჯერაც გარდატეხის ასაკში მყოფი ბიჭის ხმა აქვს, დიალექტზე მეტყველებს და სიტყვებს არ ამთავრებს, ს-ს მაგივრად შ-ს ამბობს, ა-ს მაგივრად კი უ-ს.

სამაგალითოდ ასეთ კითხვა-პასუხს მოგიტანთ:

— თქვენ შეიქენით ევროპის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი, ჩემპიონატზე რომ გოლი გაიტანა, რას იტყვით ამაზე?

— მე... მე უბრალოდ, ვფიქრობ, რო... როცა მეორე გავიტანე, თამაში მოვკალი... მეორემ გადაწყვიტა. მარცხნიდან შევედი... ახლოში დავურტყი.

— უეინ, რას ფიქრობთ ინგლისის შანსებზე ამ შეჯიბრში?

— მაგრა ცხელოდა... პირველი ტაიმი ვერ ვირბინეთ... მაგრამ მაიკიმ (მაიკლ ოუენი) მაგარი ჩამიწოდა, პირველი გოლი გავიტანეთ და დავმშვიდდით, ოღონდ მაინც საშიში იყო...

და ასე შემდეგ.

სამაგიეროდ, ჩვეული სიმშვიდით, ოღონდაც აშკარად სახეგაბადრული საუბრობდა სვენ გორან ერიკსონი, რომელსაც, როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, გვარიანად შიოდა, რაც ნერვიულობამ იცის: საგუნდო ავტობუსში ავიდა თუ არა, ერიკსონი ვახშამს მიეძალა, გარეთ კი ფანები ინგლენდ, ინგლენდს დასძახოდნენ.

ერიკსონმა ფილოსოფიურად შენიშნა: ყველას გაეხარდება ჩემპიონობა. მე ის ნამდვილად არ გამიკვირდება, ფინალში რომ გავიდეთ და არც ის გამიკვირდება, რომ ჯგუფში ჩავრჩეთ. მერწმუნეთ, ჯერ გამოკვეთილი არაფერია, ჩვენს ჯგუფშიც კი...

ამას ერიკსონი ამბობდა საფრანგეთ — ხორვატიის დაწყებამდეც კი და ამ თამაშის ყურების შანსი კოიმბრადან პორტუში დასაბრუნებელ ჟურნალისტებს მხოლოდ სანახევროდ ჰქონდათ: პირველი ტაიმის შემდეგ მედია ავტობუსი გადიოდა.

ჰოდა, სანამ იმ დღის ამბავს მოვყვებით, მინდა, გითხრათ, რომ მედია ავტობუსი მეტად ეგზოტიკური რამ არის. ის, ვინც ოპერატიულ მასალაზე მუშაობს, ამ ავტობუსში არ და ვერ ჩაჯდება, მათ გადაადგილების თავიანთი საშუალებები აქვს: ვთქვათ, ინგლისური მედია თავისი ავტობუსით და მანქანებით დადის, ასევე ფრანგულიც. უეფას მედია ავტობუსი კი პორტუდან ნებისმიერი მიმართულებით თამაშამდე სამსაათნახევრით ადრე გადის და თამაშის დასრულებიდან საათნახევრის შემდეგ ბრუნდება. ამიტომ მასში ის ხალხი იყრის თავს, ვისაც თავისი მასალა ან გაგზავნილი აქვს, ან არსად ეჩქარება.

რახან საკოიმბროდ მე ასეთებში ვერიე, პირველად მოვხვდი მედია ავტობუსში და იქ გასაოცარი სამყარო აღმოვაჩინე. იქ თავი მოეყარათ ავსტრალიელ, ახალზელანდიელ, მექსიკელ და კანადელ ჟურნალისტებს. ერთი ბერძენიც ერია, რომელმაც საბუთზე შემომხედა და დასძახა, ომარ თეთრაძე. მე კი მივუგე, ანდრო ნინიადის.

მედია ავტობუსი, რომელშიც აღარ ვიცი, კიდევ მოვხვდები თუ არა, კეთილი შემადგენლობაა. ავსტრალიელი ფილიპ მიკალეფი (რუს თეთრგვარდიელთა შთამომავალი) ამბობს, რომ ყველაზე კარგი სტადიონი მსოფლიოში სანდერლენდის „ლაითია“, თუმცა იქვე აღიარებს, რომ არ ყოფილა არც „ბერნაბეუზე“, არც „ამსტერდამ არენაზე“, არც სადმე სხვაგან. სანდერლენდში ყოფილა.

კანადელი ჟურნალისტი ასევე კეთილი კაცია, თამაში რომ მორჩება, ბლოკნოტში ჩაიწერს, ინგლისი შვეიცარია სამით ნოლი, მერე მობილურს ამოიღებს, ალბათ კანადაში დარეკავს და დაწერილს წაიკითხავს. კი, კი, სამით ნოლი... და გათიშავს.

მგონი, მისი სამუშაო ეს არის და მეტი არაფერი. სამაგიეროდ, ყველას სთავაზობს: თუ მობილური დაგიჯდა, აჰა, დარეკე, ჩემი გაზეთი იხდის. ახალზელანდიელი ჯეკი, რომელიც სერფინგის მობერებულ ვარსკვლავს მოგაგონებთ, მასზე მეტად კეთილია. ტრიბუნაზე ასევე ზორბა ინგლისელ ბიძებს გადააწყდა, რომლებიც თვალდახუჭულები მღეროდნენ, ღმერთო, დაიფარე დედოფალიო და ნაყინი შესთავაზა. აი, ამგვარ პირკეთილ ხალხში მომიწია კოიმბრაში მოგზაურობამ და თამაშის ცქერამ. სულ რაგბისა და ჰოკეიზე ვლაპარაკობდით.

ავტობუსის ამბავი გრძლად იმიტომ მოვყევი, რომ დღის ისტორია სწორედ ავტობუსის ეფემ რადიომ გვამცნო უკანა გზაზე.

ინგლის — შვეიცარიის პრესკონფერენცია რომ მოთავდა, პრესცენტრში გამობრუნებულს შემოგვესმა ყვირილი: ტოტი იზ ბანედ, ტოტი იზ ბანედ. მავანი ინგლისელი ჩაჰყვიროდა თავის ტელეფონს და გამალებით ბეჭდავდა რაღაცას. შორიახლო გაცინებული იდგა გრემ ტეილორი, ინგლისისა და „უოტფორდ“-„ასტონ ვილას“ ყოფილი მწვრთნელი. რაც მე ის მილანძღია შვედეთის ევროპის ჩემპიონატის დროს და მშვენიერი კაცი კი გამოდგა. თქვა, ინგლისი მოუმატებსო და საჭორაო ტონით მოჰყვა, რომ ხორვატია არცთუ უბრალო გუნდია.

ტელეეკრანებზე უკვე ჩანდა ლეირიას მინდორი, სადაც ფრანგები თამაშს იწყებდნენ და სწორედ ამ დროს გაიელვა პრესცენტრში არსენ ვენგერმა, რომელიც მოსაკითხად გაუჩერდა რამდენიმე ნაცნობ ჟურნალისტს. მეტად ინტელიგენტი და კაი კაცი ჩანს ესეც, თუმცა, ცუდი კაცი ვინც არის, ვიცი. ცუდი კაცი ფრანჩესკო ტოტია, რომელმაც მართლა საკადრისი მიიღო, რადგან დანიასთან მატჩისას საზიზღრად იქცეოდა. სამი მატჩით აღკვეთა ეგებ სასტიკიც იყოს, მაგრამ თვით იტალიელ ჟურნალისტებშიც კი არ მოიძებნება კაცი, რომელიც ამ ფეხბურთის საუცხოოდ მოთამაშე, მაგრამ მედიდურ და წაგოიმო ბიჭს გაამართლებს.

ახლა რომ ვიხსენებ, ტოტის ადრიდანვე მოეშალა ნერვები დანიელებთან მატჩში. თავის პოზიციაზე თამაში გაუჭირდა, რადგან დანიელებმა იქ ჭკვიანური დაცვა მოუწყვეს და იძულებული იყო, უკან ჩამოსულიყო და იქიდან ეთრია ბურთი. ეს კი, როგორც ჩანს, არც უყვარს, არც გამოსდის და აბრაზებს კიდეც. ამიტომ სცადა, სხვა ხერხები ეხმარა. იმ მატჩში დანიელებთან ერთი მაგარი პასი გამოუვიდა და ეს იყო. ახლა დაისვენე.

კოიმბრას პრეს-ცენტრში კი თავი ხალისიანად ეჭირათ ფრანგ ჟურნალისტებს. ისე იყვნენ, თითქოს თვითონ თამაშობენ ასე კარგად. ფრანგთა პირველმა გოლმა ხომ საერთოდაც სიცილ-ხარხარი გამოიწვია და, ცხადია, საფრანგეთსაც ეტყობოდა, რომ ჯერჯერობით რაც ჩანს, ყველაზე კარგი გუნდია. ინგლისელები კი ბუტბუტებდნენ: ნახე, რა კარგად მოძრაობენ და ათამაშებენ ბურთს, ჩვენ კიდევ დღეს სწორედ ეს გვიჭირდა პირველ ტაიმში.

ასე ფრანგთა პრემიერობით ჩათავდა პირველი ტაიმი და მეც ოკეანის გაღმა-გამოღმელ ძმებთან ერთად ჩავჯექი პორტუს მედია ავტობუსში. მძღოლმა ჩართო რადიო, გაისმა პორტუგალიური დამწვრის სიმღერები და ჩვენც დავიძარით. ამ საქმიდან გავიდა ასე ორმოცი წუთი, დამწვრისები შეწყდა და ტკბილმა ხმამ გამოაცხადა: ფრანც — კროაცა, დოს — დოს... ეჰეეეი... პირველი ტაიმი დიდების და პატარების თამაშს ჰგავდა... თანაც, ტრეზეგემ გაათანაბრა და ვაი იმ გათანაბრებას.

მეორე დილით „დრაგაუს“ პრესცენტრში რამდენჯერმე ვნახე ეს ეპიზოდი და ოტო ბარიჩის სიტყვებიც არ გამკვირვებია: მე ისე ვატყობ, რომ ამ ჩემპიონატზე მსაჯები დიდი გუნდების სასარგებლოდ მსაჯობენ. იყო რამდენიმე ეპიზოდი, როცა პატარა გუნდი დაიჩაგრა და ჩვენც ამ გოლზე წაგვამტვრევინეს ცხვირი. რუსებს კაცი გაუგდეს, დღეს შვეიცარიას კაცი გაუგდეს... ეს ყველაფერი არის...

თუმცა, რამდენად არის ეს გეგმაზომიერი, ვერ იტყვი. საერთოდ, მაინც შეიმჩნევა ლიბერალიზმი. კიმ მილტონ ნილსენის აფრაკი ხასიათი კი ცნობილია.

ამ საქმიდან კი ის გამოდის, რომ ინგლისს ფრე ჰყოფნის ხორვატიასთან, კობი კუნი კი იქადნება, უგოლოდ ამ ჩემპიონატიდან არ წავალთო. პატრიკ ვიეირა ამბობს, რომ ინგლის-ხორვატია ეგებ ყველაზე თავზეხელაღებული თამაშიც გამოდგეს ჯგუფურ ეტაპზე და არც გაემტყუნება. აქ ანგარიშში ისიც გქონდეთ, რომ ლაურეატმა რუნიმ ყვითელი ბარათიც მიიღო მეკარეზე წიხლით წასვლისთვის და იმის ცხელთავიანობა ცნობილია. რაც იმას ნიშნავს, რომ თუ ინგლისი ჯგუფიდან გავა, რაღაც ეტაპზე რუნის მოისაკლისებს. თავის მხრივ კი ისიც აშკარაა, რომ ერიკსონის გუნდში ძალიან ბევრი რამ ჰკიდია ამ 18 წლის ბიჭზე.

ამასობაში კი ბოდიშებს იხდის ფრანჩესკო ტოტი, წიხლისა და ფურთხისთვის ასე მკაცრად დასჯილი:

ეს მე არა ვარ. ეს არ არის ფრანჩესკო ტოტი. ტელეეკრანზე სხვა კაცია. სახალხოდ ვიხდი ბოდიშს და დაგიმტკიცებთ, რომ ფრანჩესკო ტოტი სხვა კაცია. ამას ამ ჩემპიონატზევე მოვახერხებ.

ამგვარი რამ, ცხადია, არ გაუკეთებია ვადიმ ევსეევს, რომელიც ბევრს კი შლიდა ხელებს სამი დღის წინ „ლუზის“ სტადიონზე, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ევსეევი ის კაცია, ვინც, როცა რუსეთმა უელსს მოუგო, მთელ კამერაში მთელი ხმით იყვირა: ხუი ვამო და ამის გამო რუსულმა მედიამ ლამის გმირად გამოაცხადა. ნახეთ, რა პასუხი გასცა მტერსაო.

ჰოდა, ახლა ვადიმ ევსეევს და მის ამხანაგებს ის დანაძახილი უკვე ჩაყლაპული აქვთ, რუსეთი პირველი გუნდია, ვინც ზრდილობის გულისთვის ელის მესამე ტურს და თანაც ისე, რომ გოლიც არ გაუტანია.

არ ვიცი, გაუხარდება თუ არა საქართველოს უფროსობას, მაგრამ მე გამეხარდა, რომ რუსეთი პირველი გავარდა.

ფილიპ მიკალეფი კი კვლავაც ამტკიცებს, რომ სანდერლენდის სტადიონი საუკეთესოა მსოფლიოში. გაუმარჯოს ღმერთმა, ავსტრალიიდან რომ კაცი აქ წამოვა ფეხბურთზე საწერად, იმას რაღა გაემტყუნება?

**უეინ რუნიმ თამაში უკვე იცის, ლაპარაკს კი ახლა სწავლობს**

ალექსანდრს სტარკოვსს მარის ვერპაკოვსკისის ეიმედება

ალექსანდრ კოლინკო

## D ჯგუფი. II ტური. დღეს

**პორტუ. ბესა. 21.00**

### ლატვია — გერმანია

სავარაუდო შემადგენლობები

| | |
|---|---|
| კოლინკო; ისაკოვსი, სტეპანოვსი, ზემლინსკისი, ბლაგონადეჟდინსი; ბლეიდელისი, პახარსი, ასტაფიევსი, რუბინსი; პროხორენკოვსი, ვერპაკოვსკისი | კანი; ფრიდრიხი, ვიორნსი, ნოვოტნი, ლამი; შნაიდერი, ჰამანი, ბალაკი, ფრინგსი; კურანი, ბობიჩი |

მსაჯი: მაიკლ რაილი (ინგლისი)

# შეხედეთ ბალაკს!

## კოლინკოს უჭულობა არ უნდა

**გერმანიის** ნაკრების მცველმა იენს ნოვოტნიმ მუხლის ტკივილის გამო გუშინ დილის ვარჯიში გამოტოვა. „საშიში არაფერია — თქვა მწვრთნელმა — მას დასვენება სჭირდება და ვიმედოვნებ, სალატვიოდ მზად იქნება". დაღლილობას უჩიოდა არნე ფრიდრიხიც და მასაც არ უვარჯიშია. სხვა მხრივ, გუნდში ყველაფერი რიგზეა.

რუდი ფიოლერი, ცხადია, გამარჯვებაზე ფიქრობს: „შემტევ ფეხბურთს ვითამაშებთ და მთელი მატჩის განმავლობაში ვითარება უნდა ვაკონტროლოთ".

სავარაუდოდ, ნახევარმცველი ფრანკ ბაუმანი ძირითად შემადგენლობაში არ იქნება. მის ნაცვლად მწვრთნელი ფრედი ბობიჩს გაამწესებს და იგი შეტევაში კევინ კურანის შეუწყვილდება, რადგან გერმანიას გოლები და მოგება სჭირდება. ჰოლანდიასთან შეხვედრაშიც ჩანდა, რომ ეულ კურანის მცველებთან გამკლავება უჭირდა.

„ვიცი, რომ გულშემატკივრებს ჩვენი სჯერათ, მაგრამ ჯერჯერობით ყველაზე რთული წინ გველის. ლატვია აქ შემთხვევით ხომ არ ჩამოსულა. ფავორიტები ვართ, სამი ქულა გვჭირდება, თუმც 1:0-ს მოვიგებთ თუ 4:0-ს, ჩემთვის სულერთია. მთავარი სხვაობა კი არა, გამარჯვებაა" — განაცხადა ფიოლერმა.

გერმანელთა მწვრთნელის თქმით, იგი შეგირდებს ფსიქოლოგიურადაც ამზადებს: „ფეხბურთელებმა საკუთარი ძალა უნდა ირწმუნონ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია დიდი ტურნირის მოსაგებად. შეხედეთ მიხაელ ბალაკს — მას მთელი სეზონის განმავლობაში აკრიტიკებდნენ, მაგრამ ხომ ყველამ ნახა, რომ იგი ნაკრებისთვის შეუცვლელია. „ბაიერნის" ბოსები ბალაკის გაშვებას აპირებდნენ, ახლა კი ალბათ დატოვებენ".

რაც შეეხება ლატვიას, დასაკარგი არაფერი აქვს. ბალტიისპირელებმა ჩეხები გააწვალეს და არც გერმანიას შეუშინდებიან. ალექსანდრს სტარკოვსი ნაცად ტაქტიკას არ უღალატებს. ათი კაცი დაცვაში და წინ მარის ვერპაკოვსკისი. შესაძლოა, ძირითად შემადგენლობაში მარიანს პახარსი გამოჩნდეს, რომელმაც პირველ ტურში შეცვლაზე ითამაშა. მწვრთნელს მისი ძალიან ეიმედება.

ლატვიელთა მეკარე ალექსანდრ კოლინკოს გუშინ 29 წელი შეუსრულდა. დღევანდელი მატჩი კი მისთვის 50-ე სანაკრებო იქნება, „ძალიან მსურს, რომ გერმანიას თუ ვერა, ჰოლანდიელებს მაინც ერთი ქულა ავწაპნოთ, რათა შინ მთლად ხელცარიელნი არ დავბრუნდეთ" — თქვა ორმაგად იუბილარმა.

**ვაჟა ხუციშვილი**





რუდი ფიოლერი

## D ჯგუფი. II ტური. დღეს

**ავეირუ. მუნისიპალი. 23.45**

### ჰოლანდია — ჩეხეთი

სავარაუდო შემადგენლობები

| | |
|---|---|
| ვან დერ სარი; ჰეიტინგა, ბუმა, სტამი, ვან ბრონკჰორსტი; სნეიდერი, დავიდსი, კოკუ; ვან დერ მეიდე, ვან დერ ვაარტი; ვან ნისტელროი | ჩეხი; გრიგერა, უიფალუში, ბოლფი, იანკულოვსკი; პობორსკი, გალაშეკი, როსიცკი, ნედვედი; ბაროში; კოლერი |

მსაჯი: მანუელ ენრიკე მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

# მუშა!

## იან კოლერის ჯუჯს ჰოლანდია თუ ამოავსებს

ამ მატჩში გამარჯვებული, მოდით პირდაპირ ვთქვათ — მეოთხედფინალშია. თუ ჩეხებმა მოიგეს, მეორე ადგილი გარანტირებული აქვთ. თუ ჰოლანდიამ მოიგო, მართალია, განაღდებული არაფერი ექნება, მაგრამ რაკი ბოლო ტურში ლატვიას ხვდება და რა უნდა მოხდეს, რომ ვერ მოუგოს, ისიც გასულად შეგვიძლია მოვიხსენიოთ. ერთი სიტყვით, დიდი ბრძოლა იქნება.

დიდ ბრძოლას დიდი ფეხბურთელები სჭირდება. ასეთები ორივე გუნდს ჰყავს. ჰოლანდიელთაგან უპირველესად გამოვარჩიოთ გერმანელთათვის დიდებული გოლის გამტანი რუუდ ვან ნისტელროი, ჩეხთაგან კი პირდაპირი გაგებით დიდი კაცი, უახმახესი იან კოლერი. სხვათა შორის, ჩეხ გიგანტს ლატვიასთან ძლივს მოგებულ მატჩში მთელი ხუთი კილოგრამი დაუკლია და ეს დღეები ჭამად ქცეულა ენერგიის აღსადგენად.

ჩეხები კოლერის სამყოფ საჭმელს როგორმე იშოვიან, უფრო ძნელად მოსაგვარებელი სხვა პრობლემებია. თუნდაც მცველების, ზდენეკ გრიგერას და რენე ბოლფის ტრავმები. თუმცა იმასაც ამბობენ, ორივენი საჰოლანდიოდ მომჯობინდებიანო.

იმასაც ამბობენ, პორტუგალიაში გაუსაძლისად ცხელაო. ალბათ ასეცაა, რაკი ხვატისგან პაველ ნედვედს და ტომაშ როსიცკის თავის ტკივილი დასჩემებიათ, არადა, ესენი რაოდენ მნიშვნელოვანი ფეხბურთელები არიან ნაკრებისთვის, მტკიცებას არ შევუდგებით.

ჰოლანდიელთა ბანაკშიც შევიხედოთ. იქ დავინახავთ, რომ ბუდევინ ზენდენი, რომელიც დიკ ადვოკაატმა გერმანიასთან პირველი ტაიმის მერე შეცვალა, ამჯერად სასტარტო შემადგენლობაში აღარ არის. მის მაგივრად ყმაწვილი უესლი სნეიდერი ითამაშებს, რომელმაც ზენდენი წინა მატჩში მეორე ტაიმში შეცვალა და მწვრთნელს თავი მოაწონა.

მეორე ფეხბურთელი, რომელმაც გერმანიასთან მატჩი ჩააგდო, გეხსომებათ, ედგარ დავიდსია. მაგრამ ადვოკაატი, ზენდენისგან განსხვავებით მას ისევ ენდობა და კვლავ სასტარტოში ეყოლება.

ალბათ ისევ არ ითამაშებს კლარენს ზეედორფი, თუმცა ის ვარჯიშს უკვე შეუდგა და ბოლო მატჩისთვის ალბათ ბოლომდე მომჯობინდება.

ბოლოს დაეძინოთ, რომ ჰოლანდია შეტევაში ისევ ერთი თავდამსხმელით ითამაშებს, ჩეხეთი კი ორი ფორვარდით შეუტევს.

**კოტე კეკელია**

პაველ ნედვედი სიცხეს და თავის ტკივილს შეუწუხებია

რომ მიუშვა, იან კოლერი კარელ ბრუკნერსაც შეეჯამს

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 1 | 1 | 0 | 2:1 | 3 |
| გერმანია | 1 | 0 | 1 | 1:1 | 1 |
| ჰოლანდია | 1 | 0 | 1 | 1:1 | 1 |
| ლატვია | 1 | 0 | 0 | 1:2 | 0 |

III ტური: 23 ივნისი
**ჰოლანდია — ლატვია**
**გერმანია — ჩეხეთი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# EURONEWS

## გაფუჭდა ტოტი?

**იტალიელები** ფრანჩესკო ტოტის სამმატჩიანი დისკვალიფიკაციის გამო აპელაციას არ შეიტანენ, ასეთი ცნობა გაავრცელა სააგენტო **ANSA**-მ. შეგახსენებთ: **C** ჯგუფის პირველ შეხვედრაში ტოტიმ დანიელ მეტოქეს, კრისტიან პოულსენს შეაფურთხა.

ტოტის საქციელის გამო უეფაში დანიის ფეხბურთის ფედერაციამ იჩივლა და წარადგინა ვიდეოსაბუთი იმისა, რაც მოხდა. ფეხბურთელის ვექილი თავიდან კმაყოფილი ჩანდა იმით, რომ განაჩენი გასაჩივრების უფლებას სტოვებდა, მაგრამ შემდეგ გავრცელდა **ANSA**-ს ცნობა, „რომას" კაპიტნის ბანაკი კონტრზომებს არ მიმართავსო.

იტალიის ფეხბურთის ფედერაცია კი კომენტარისგან ამ ეტაპზე თავს იკავებს.

**პაპუნა ძედია**

## გოლი მეკარემ გაიტანაო

### რუნის მეორეს შტილს უთვლიან

**თვრამეტი** წლის ინგლისელი ფორვარდის, უეინ რუნის მიერ შვეიცარიელთა კარში გატანილი ორი გოლიდან უეფამ, შესაძლოა, ერთი მეკარე იორგ შტილს ავტოგოლად ანუ საკუთარ კარში ბურთის შეგდებად ჩაუთვალოს.

ამ თემას პრესკონფერენციაზე უეფას კომუნიკაციების დირექტორი უილიამ გაილარდი შეეხო. მან თქვა, რომ უეფას ტექნიკური კომისია კარგად შეისწავლის მომენტის ვიდეოჩანაწერს და გადაწყვეტილებასაც შესაბამისს მიიღებს.

შეგახსენებთ, რაც მოხდა: 75-ე წუთზე რუნის დარტყმული ჯერ ძელს მოხვდა, შემდეგ გაწოლილ თავში და იქიდან შევარდა კარში. საინტერესოა, რომ ევროპის ჩემპიონატების ისტორიაში რუნი შეიქნა ყველაზე ახალგაზრდა მეგოლედ.

„ლონივრად დავარტყი და გამიმართლა, ბურთი კარში რომ შევარდა — თქვა თამაშის შემდეგ ფორვარდმა და დასძინა — ცხადია, პრეტენზია მაქვს, რომ გოლი მე გავიტანე".

**პაპუნა ძედია**

## ციც!

**რუსმა** შოუმენმა ოთარ ქუშანაშვილმა თავისი საქმე გააკეთა — გიჟობით მიიპყრო ყურადღება. ვისაც ამ ადამიანის საქმიანობის შესახებ რამე სმენია, დაგვეთანხმება, რომ ნიადაგ ამას აკეთებს და რალა პორტუგალიაში მოიქცეოდა სხვანაირად. შეგახსენებთ: პორტუგალიისა და რუსეთის შეხვედრაში, როდესაც მსაჯმა რუს მეკარეს, სერგეი ოვჩინიკოვს წითელი ბარათი აუწია, ქუშანაშვილი ტრიბუნიდან ჩახტა, უსაფრთხოების დამცველ სკაუტთა რაზმს დაუსხლტა და, როგორც სააგენტო „როიტერი" იტყობინება, კარგა 50 მეტრიც ირბინა მოედნისკენ. საბოლოოდ იგი პოლიციელებმა დააკავეს.

სასამართლომ ქუშანაშვილს თავიდან 90-დღიანი ჯარიმით დაუპირა დასჯა (ოღონდ დღეში რა თანხას უსჯიდნენ ცნობილი არ იყო), მაგრამ შემდეგ გაფრთხილებით შემოიფარგლა და გაუშვა.

**პაპუნა ძედია**

## ფაბიენ გულთმისანი

### სანტინი ყოველ სანტიმეტრს გაზომავს

*ხორვატებთან ნათამაშებმა ფრემ საფრანგეთის ნაკრების მეკარეს, ინგლისელებთან შეხვედრის გმირს, ფაბიენ ბარტეზს ეჭვი გაუჩინა, რომ სასწაული მართლა არსებობს*




„ყველაფერი ძალიან კარგად დაიწყო, მაგრამ პირველივე წუთიდან არ მტოვებდა შეგრძნება, რომ რაღაც შეიცვლებოდა. ვიცოდი, რომ ხორვატები სწრაფები არიან, თამაში კი მეტად დუნედ მიდიოდა და ეს მიკვირდა. ამ მატჩში ქულა რომ მოვიპოვეთ, ნამდვილი სასწაული იყო" — განაცხადა პირველ ტურში დევიდ ბექემის პენალტის მომგერიებელმა.

შეგახსენებთ, რომ საფრანგეთისა და ხორვატიის ნაკრებთა შეხვედრის პირველ ტაიმში ზინედინ ზიდანის ჩაწოდებული ჯარიმა ხორვატმა მცველმა იგორ ტუდორმა შემთხვევით საკუთარ კარში ჩაჭრა და ევროპის ჩემპიონები დაწინაურდნენ, მაგრამ შესვენების შემდეგ თამაშის სურათი შეიცვალა — ტემპმა ხორვატთა დაჟინებით საგრძნობლად იმატა და ჯერ მილან რაპაიჩმა პენალტით, ხოლო შემდეგ დადო პრსომ ორი გოლი გაუტანეს ფრანგებს. ბოლოს დავიდ ტრეზეგემ გაათანაბრა.

„ვამბობდი, რომ ინგლისის წინააღმდეგ თავს გადახდენილი უნდა დაგვევიწყებინა და მთელი ყურადღება ხორვატიაზე გადაგვეტანა. ახლა დღევანდელი ამბის კარგა ხნით დამახსოვრება მოგვიწევს, თუმცა მაინც იმდენად სოლიდური გუნდი გვყავს, რომ ზედმეტად შეშფოთებულიც კი ვარ" — დაასკვნა ბარტეზმა.

ფრანგთა მენტორმა ჟაკ სანტინიმ კი აღიარა, რომ მის ბიჭებს სძინავთ და გაღვიძება სჭირდებათ.

„იმედი მაქვს, ხორვატიასთან ნათამაშები ფრე გამოგვაფხიზლებს — თქვა სანტინიმ— ანგარიშის გახსნის შემდეგ, როგორც ჩანს, ყველაფერი მეტისმეტად იოლი მოგვეჩვენა. არა მგონია, მეტოქე მოგვჩვენებოდა სუსტ გუნდად, უბრალოდ, საკუთარ პრინციპებს ვუღალატეთ, განსაკუთრებით დაცვაში. როდესაც მოწინააღმდეგეს საუკეთესო თვისებების გამოვლენის საშუალებას აძლევ, არ უნდა გაგიკვირდეს, პრობლემები რომ შეგვექმნება. სწორედ ამ შეცდომას ვუშვებდით მთელი საღამოს განმავლობაში".

საინტერესოა, რომ ფრანგთა მწვრთნელს კონკრეტული დამნაშავეების დასახელება სთხოვეს, მაგრამ მან თავი შეიკავა, განაცხადა, რომ ფეხბურთელებთან საგანგებოდ აპირებდა განვლილი მატჩის დეტალურად განხილვას.

„გარდა იმისა, რომ ორი ქულა დავკარგეთ, დღეს მეოთხედფინალში ადრიანი გასვლაც გავუშვით ხელიდან და ჩემთვის მთავარი იმედგაცრუება სწორედ ეს არის — დასძინა სანტინიმ — ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, კარგად ვითამაშებთ შვეიცარიასთან თუ ცუდად. კვლავ ადრეა ამ დასკვნის გაკეთება, მაგრამ ვფიქრობ, ინგლისის დამარცხების შემდეგ ცოტა მოვეშვით".

**პაპუნა ძედია**

# EURONEWS

*ბრიტანელები, რომელთაც პორტუგალიაში ხულიგნობა ბრალდებათ, სამშობლოში წარდგნენ სასამართლოს წინაშე. ეს ხალხი პოლიციელებთან ჩხუბის გამო დაიჭირეს და როგორც უცხოეთში გამძრომ-გამომძრომი ქართველები ამბობენ, გამოადეპორტეს. სულ გამოდეპორტებულ ინგლისელთა რიცხვია 33. ისინი ერთი წლის განმავლობაში ველარ ჩავლენ სამხრეთ ევროპის ამ ქვეყანაში, სადაც ალბათ, ისედაც არ აპირებდნენ ჩასვლას*



# დეპორტაცია

## 33 ინგლისელი ფანი პორტუგალიიდან გააძევეს

ვფიქრობთ, იცით, რომ უეფას მკაცრად ჰყავს ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია გაფრთხილებული. თუ მათი ნგრევა-მტვრევით ცნობილი ფანები ევრო 2004-ზეც ცუდად გამოავლენენ თავს, უეფა მიადგება და პირდაპირ ნაკრებს გაუგდებს შეჯიბრებიდან.

საგანგებოდ უნდა ითქვას მავან ხულიგან გერი ნორმან მენზე, რომელსაც ორწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. ის არ მხოლოდ მტვრევა-ნგრევაში, არამედ მთლად არეულობის გამოწვევაში ამხილეს. მენი სასჯელს ინგლისში მოიხდის.

და, როგორც ასეთ დროს ხდება, ამჯერადაც გამოჩნდნენ ინგლისელი ფანები, რომელთაც თითი მასპინძელი ქვეყნის პოლიციისკენ გაიშვირეს.

„მე უსამართლოდ მომექცნენ — ამბობს 22 წლის ნიუკასლელი გულშემატკივარი ჯონ ჯეკსონი — საერთოდ, პორტუგალიის პოლიცია უპატიოსნოდ გვექცეოდა. მე ძალით ამაგდეს და მირტყეს. ისინი უდანაშაულო ადამიანებს იჭერდნენ".

პოლ დონაჰიუ, 31 წლის: „არაფერი მინდა. სახლში გამიშვით".

დონაჰიუს თვალი ჰქონდა ჩალურჯებული და ხელი ნაიარევი.

რასაკვირველია, მასობრივი არეულობის დროს ალბათობა იმისა, რომ შესაძლოა ვინმე უდანაშაულოსაც მოხვდეს, საკმაოდ მაღალია და სრულიად შესაძლებელია ზემოხსენებული ორი ქომაგი ჩხუბში მართლა არ მონაწილეობდა, მაგრამ ფაქტია, რომ აყალმაყალი ატყდა, ის ინგლისელებმა ატეხეს და პორტუგალიის პოლიციამაც ინგლისელებსვე მოჰკითხა.

ისე კი, ინგლისის ნაკრების გასახარად უნდა ითქვას, რომ უეფა ჯერჯერობით მუქარას არ ასრულებს. მეტიც, ოფიციალურად ითქვა, რომ სამხრეთის ქალაქ ალბუფეირში მომხდარი ამ ინციდენტის გამო გუნდს არ დასჯიან.

აღსანიშნავია, რომ ალბუფეირა ასი კილომეტრითაა დაშორებული იმ ქალაქებს, სადაც ინგლისის ნაკრებმა ითამაშა. ძალიან საინტერესოა, რა უნდოდათ იქ ფანებს და რატომ უმტვრევდნენ იქაურ მოსახლეობას მინებს?

ხუთშაბათ საღამოს ათი დეპორტირებული ინგლისელი „ჰითროუს" აეროპორტში „მშობლიურმა" პოლიციელებმა გადაიბარეს და მიიყვანეს იქ, სადაც მათი პირველი დაკითხვა სამსაათნახევარს გრძელდებოდა. არ არის გამორიცხული, დაკავებულთაგან რვას პასპორტები ჩამოართვან.

დანარჩენ დეპორტირებულ ბრიტანელებს ინგლისში დღეს დილით ელოდნენ.

**პაპუნა ძედია**

# გაიღვიძეთ!

## ადვოკაატმა მძინარე და მშიშარა ჰოლანდიას შეუძახა

*ჰოლანდიელთა მწვრთნელი დიკ ადვოკაატი დარწმუნებულია, რომ მისი ფეხბურთელები, ცოტა არ იყოს, შეშინებულები დარბიან. მიზეზი: ევრო 2004-ზე თამაში მეტად სანერვიულო და საპასუხიმგებლოა. შევახსენებთ, რომ D ჯგუფის პირველ შეხვედრაში ჰოლანდიელებმა გერმანელებს საკმაოდ გვიან გაუთანაბრეს ანგარიში, ისიც უფრო რუუდ ვან ნისტელროის ინდივიდუალური ოსტატობის წყალობით*

„გერმანელებთან სათამაშოდ ძალიან კარგად ვიყავით მომზადებული, მაგრამ შევიდნენ თუ არა ჩემი ფეხბურთელები მოედანზე, შიში მოერიათ. ბევრმა მათგანმა საქმესა და დავალებას თავი ველარ გაართვა — განაცხადა ადვოკაატმა და დასძინა — პირველი ტაიმის განმავლობაში ნაკლოვანებების გამოსწორება ვერ მოხერხდა, შესვენების შემდეგ კი ყველაფერი შევცვალეთ და საბოლოოდ მივიღეთ კიდეც დამაკმაყოფილებელი შედეგი".

ადვოკაატის ცვლილებები, ერთი შეხედვით, მართლაც გასაკვირი გახლდათ, თუმცა მიმომხილველები არანაკლებ გააოცა ჰოლანდიელთა სასტარტო შემადგენლობამაც, სადაც ახალგაზრდა ვესლი სნეიდერის მაგივრად ბუდევინ ზენდენი ტრიალებდა.

„ზენდენით იმიტომ დავიწყეთ, რომ თავად გვითხრა, მარცხენა ფრთაზე სათამაშოდაც ჩვეულებრივ მზად ვარო, ამასთან მწამს, რომ მარკ ოვერმარსი შეცვლაზე უფრო ძლიერია, ვიდრე სასტარტო შემადგენლობაში" — განმარტა ადვოკაატმა, რომლის შეგირდებს მეორე თამაში ჩეხებთან უწევთ.

„ჩემი აზრით, მატჩში ვერც ჩვენ ვითამაშეთ კარგად და ვერც გერმანიამ, პრესამ კი ძალიან გამაკვირვა: გერმანულმა გაზეთებმა დაწერეს, რომ ასე ძლიერად მათ გუნდს ბოლო ორი წლის განმავლობაში არ უთამაშია, ხოლო ჰოლანდიური გაზეთები ამტკიცებდნენ, რომ ჩვენ ვიყავით ძალიან საცოდავები. გერმანელებმა თავიანთი ნაკრები მნიშვნელოვნად შეცვალეს, მათ ხუთი მარჯვენაფეხა ნახევარმცველით და მხოლოდ ერთი თავდამსხმელით ითამაშეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე ერთი დამცველი უნდა მომეკლო. არამც და არამც. ჩემს ფეხბურთელებს დავალება რომ შეესრულებინათ, ჩვენ გავიმარჯვებდით".

ახლა კი, რაც შეეხება ჩეხეთთან მატჩს. ადვოკაატი დარწმუნებულია, რომ ჩეხები ჰოლანდიასაც იმავე ფეხბურთით დახვდებიან, რითაც ლატვიას ეთამაშნენ — ერთ-ერთი ფორვარდი იან კოლერი იქნება.

„კოლერი ძლიერი მოწინააღმდეგეა, უპირველეს ყოვლისა კი იმიტომ, რომ ჩემზე მაღალია — აუბა კოლერის შეფასებაში მწვრთნელს მხარი ჰოლანდიის ნაკრებისა და „ლაციოს" ყოფილმა, აწ „მილანის" მცველმა იაპ სტამმა — ის იგივე ფეხბურთს ითამაშებს, რაც პირველ შეხვედრაში გერმანელმა კურანიმ ითამაშა, თუმცა განსხვავებასაც ველი, კოლერი ბურთს კურანიზე უკეთ ფლობს. ეჭვი არ მეპარება, ინიციატივა კვლავ ჩვენს ხელთ იქნება, მაგრამ ჩეხები სახიფათო კონტრშეტევებით მიიქცევენ ყურადღებას. მე თუ მკითხავთ, ფრე ჩინებული შედეგი იქნებოდა, მაგრამ მეორე მხრივ, ფეხბურთი იმისაა, რომ მოედანზე გახვიდე და გამარჯვებისთვის იბრძოლო".

და ისევ ადვოკაატი, რომელიც ჟურნალისტების წინაშე თავს თავადაც მხოლოდ ერთი თავდამსხმელით თამაშის გამო იმართლებდა.

„ჩვენ ერთი თავდამსხმელით თამაში პრინციპად ავირჩიეთ, ხოლო ეს თავდამსხმელი რატომ არის ვან ნისტელროოი და არა ვან ჰოიდონკი, მეორე საკითხია, რომელზეც ასე გიპასუხებთ: მე უკეთეს სასტარტო ფეხბურთელად ვან ნისტელროოი მირჩევნია" — ბრძანა მწვრთნელმა.

დიკ ადვოკაატი და იაპ სტამი

ბოლოს კი ჰოლანდიელთა მეკარის, ედვინ ვან დერ სარის საინტერესო მოსაზრება: „1988 და 2000 წლებში ნამდვილად საჩემპიონო გუნდი გვყავდა, ახლა, ბევრი ძლიერი ფეხბურთელი ვართ, მაგრამ გუნდად ისე აღარ ვვარგივართ".

**პაპუნა ძედია**

**eurofan2004@hotmail.com**

# ეი, მანუჩარ!

## ყოველგვარი შესავლის გარეშე ვაგრძელებ თქვენი წერილების მიმოხილვას

მოვიდა წერილი **NIKOLOZOBA**-სგან, რომლის სათაურის წაკითხვის მერე ვიფიქრე, გასაგებია, ვინ არის და რა უნდა მეთქი. წერილის სათაური ასეთია: Come On England, მაგრამ წერილი წავიკითხე და მთლად ეგრეც არ ყოფილა საქმე.

*— მოგესალმებით, პატივცემულებო! მე **England**-ს ვგულშემატკივრობ, მაგრამ მგონია, რომ ჩემპიონი დანია გახდება იმიტომ, რომ ჯიგრული გუნდია. ისე კიდევ ერთ რიტორიკულ კითხვას დავსვამ — რატომ არ არის ოტო რეჰაგელი საქართველოს ნაკრების მწვრთნელი?*

ისე, მართლა, ბატონო შერაბ, რატომ არ არის ოტო რეჰაგელი ჩვენი ნაკრების მწვრთნელი?

ახლა კი მანუჩარი მოემზადოს. მანუჩარის წერილი გუშინ დავბეჭდეთ და „სკუადრა აძურას" გულშემატკივრები აღშფოთდნენ. მანუჩარი წერდა, ვერ გამიგია, არაიტალიელმა კაცმა იტალიას რატომ უნდა უქომაგოს, რა მოსწონთ „აძურას" თამაშში.

მე რა ვიცი, რა მოსწონთ, ამიტომ იმათ მივუგდოთ ყური, ვინც იცის. მაშ ასე, წერილების ციკლი, რატომ ვგულშემატკივრობ, იტალიას.

**VASHAKIDZE:** *რატომ ვქომაგობთ იტალიას? მანუჩარ, ძმაო, მე არ ვიცი შენ ვისი ქომაგი ხარ. ნათქვამია, გემოვნებაზე არ დავობენო, მაგრამ რა ვუყოთ. შენს გამონათქვამს კი, ჩვენ „იტალიელები" 4 ივლისის ღამეს გავცემთ პასუხს:* ***Forza Azzuri, Italia Campeone d'Europa***

ჩემო vashakidze, ვინ გითხრა, რომ გემოვნებაზე არ დავობენ? დავობენ და მერე როგორ დავობენ. არ გჯერა? თუ გინდა ვიდავოთ.

შემდეგი წერილი.

***VACHE07**: მანუჩარს გადაეცით, იტალიის ნაკრებს იმიტომ ვგულშემატკივრობ, რომ ფეხბურთი იტალიაშიც უყვართ და რელიგიის დონეზე ჰყავთ აყვანილი!!! მე პირადად მსოფლიოს ჩემპიონატების ყურება 1978 წლიდან დავიწყე. ჰოდა, ვისაც ეს ჩემპიონატი ახსოვს, მაშინდელი იტალიის ნაკრებიც ეხსომება — რობერტო ბეტეგა და პაოლო როსი, რომ არაფერი ვთქვა დინო ძოფზე... მერე კი იყო 1982 წელი... მანუჩარს ალბათ არც ერთი უნახავს და არც მეორე. ერთი ტოტის ვერ ვიტან (როგორც ფეხბურთელი, მართალია, მაღალი კლასის მოთამაშეა, მაგრამ ბექემივით პიჟონია) და ქე მოკვეთეს სამი თამაშით. ძალიანაც კარგი!!! მაი მანუჩარი გერმანელებსაც ვერ იტანს ეტყობა?! ეტყობა ჰოლანდიის გულშემატკივარია და გერმანიამ რომ აჯობა, გაღიზიანდა. ჰმ, ვნახოთ, ვნახოთ... როგორც იტყვიან, აბანოში გამოჩნდებაო... მე კი მგონია, გერმანია — იტალიიდან ერთ-ერთი ფინალისტია. მოკლედ, ვნახოთ...*

*P.S. ისე, ყველას თავისი აზრი აქვს და თავისი ფავორიტი ჰყავს. ეგრეც უნდა იყოს. არ ეგების არავისი გაქილიკება და შეურაცხყოფა. შეურაცხყოფილად ვიგრძენი თავი და ამ წერილის მოწერაც იმიტომ ჩავთვალე საჭიროდ. ცოტა მკაცრიც მიტომ გამომივიდა. ბოდიში „სარბიელს" და ყველა სხვა ფეხბურთის ფანს.*

ჩემო **vache07**-ო, ეს არის მკაცრი წერილი? ასეთი წერილით შენ მანუჩარს შეაშინებ? ჰა მანუჩარ, ხომ არ გეშინია?! არა, არ მეშინიაო.

კიდევ ერთი წერილი.

*— თქვენ მოგწერეს წერილები, რომელშიდაც იტალიის ნაკრებსა და ალექს დელ პიეროს აკრიტიკებენ. პირველ რიგში, თუ ვინმეა გასალანძღი, ეს ტოტია, რომელიც იმედია დაისჯება კიდეც. მეორეც იტალია ყოველთვის ცუდად იწყებს ჩემპიონატს. ამაში გასაკვირი არაფერია. თანაც, შვედებს რომც ვერ მოუგონ, დიდი შანსია, მაინც გავიდნენ შემდეგ ეტაპზე. გარდა ამისა, უნდა ვთქვა, რომ ინგლისი მეზიზღება, მაგრამ იმის თქმა, რომ ბექემი ცუდი მოთამაშეა, დიდი სისულელეა. რაც უნდა მოხდეს, იტალია ყოველთვის ერთ-ერთი საუკეთესო იქნება თუ საუკეთესო არა.*

*P.S. Forza Italy, Forza Juve, Forza Del Piero*

**GOODMAN**

შე მართლა კაი კაცო, **NIKOLOZOBA**-ს და გუშინ ინგლისის ფანმა ქეთიმ რომ მოგვწერა იმას, პირში ეტყვი, ინგლისი რომ გეზიზღება?! ისე, ერთი გამახსენე, წინა ევროპის ფინალში ორი უნაღდესი გოლი რომ ვერ გაიტანა და ამის გამო ფრანგებმა მოიგეს, ის რომელი ფეხბურთელი იყო? დელ პიერო ხომ არა? მაგრამ გიცნობთ „იუვეს" ფანებს, არასდროს აღიარებთ, დელ პიეროს მოკლე ფეხები რომ აქვს. ხომ არ გეწყინა? ე ბიჭო, არ გრცხვენია, ხუმრობა არ იცი? არ დაგეზაროს, შეკრიბე ახლა დელ პიეროს ფანები და ერთი კოლექტიური წერილი მოიწერეთ.

რაღაც გაგვიგრძელდა და ერთი წერილიც კიდევ გავარჩიოთ და ამაზე გავჩერდეთ. **GIO_KHUTSO** გვწერს, მაგრამ რასაც გვწერს, სრულად რომ დავბეჭდოთ, ერთი გვერდი არ ეყოფა. კაცო, არ დაგეზარა ამდენი რომ მოიწერე? მოკლედ, **GIO_KHUTSO**-ს წერილის შემოკლებულ ვარიანტს ვბეჭდავ:

*— იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია?*

*ისე, მე თუ მკითხავ (მე ვინ მკითხავს), ალოგიკური ბერძენთა გამარჯვებაში არაფერი იყო, პირიქით, მოსალოდნელიც კი იყო. აბა, შეხედეთ, დაბერებული და არაფრისმაქნისი ფიგუ. რუი კოშტა, რომელმაც მთელი სეზონი სათადარიგოს კამზე გაატარა და „პორტუს" ფეხბურთელები, რომელთაც ბოლო სეზონებში საკლუბო დონეზე ყველაფერი მოიგეს და ფსიქოლოგიურ-მორალურად გამოიფიტნენ (აზრობრივად მგონი რაღაც ვერ ჩამოვაყალიბე სწორად, მაგრამ ალბათ გამიგეთ, არა?).*

*სკოლარი კი მშიშარა ყოფილა.*

*ამ ჯერარდს კიდევ რაღა მოელანდა. გადააგდე რა ეს ოხერი ბურთი წინ ან გვერდზე ან ცაში მაინც. ეეეეეჰ!*

ჩემო gio, მართლაც და, ეეეეჰ! ყველაფერი კარგია, მაგრამ რატომ ხარ ასეთი თვითკრიტიკული? მე ვინ მკითხავსო, აზრი ვერ ჩამოვაყალიბეო...

მოკლედ, ყველაფერი მართლა კარგია, ოღონდ მოკლე სიტყვის გრძლად წერას შეეშვი, თორემ დასაბეჭდად ადგილი მართლა არ გვყოფნის.

და მთავარი: **GIO_KHUTSO** თავისი უგრძელესი წერილის ერთ აბზაცს იტალიის ნაკრებს უთმობს და წერს, არ მიყვარს იტალიური ფეხბურთიო. ხოლო თუ რატომ არ უყვარს, ამას მომდევნო მიმოხილვაში გავარჩევთ — მანუჩარის გასახარად და სხვების გულის გასახეთქად.

დღევანდელი მიმოხილვა კი ისევ **GIO**-ს ფრაზით დავასრულოთ: ვაი, საქართველოვ!

კი ბატონო, თუ ასე გნებავს, ვაი!

**eurofan2004@hotmail.com**

**ესპანური** „ბარსელონას" ნახევამცველ რიკარდო კვარესმას კლუბის დატოვება სურს. „თუ გუნდის მწვრთნელი კვლავაც ფრანკ რაიკარდი იქნება, „ბარსაში" არ დავრჩები. ჩემსა და მწვრთნელს შორის დაძაბული ურთიერთობაა. უმჯობესია, რომ წავიდე. უბრალოდ, მინდა, ისეთ გუნდში გადავიდე, სადაც მუდამ ძირითად შემადგენლობაში ვიქნები. ვფიქრობ, კატალონიაში გადმოსვლა დიდი შეცდომა იყო და ძალიან ცუდად აისახა ჩემს კარიერაზე" — თქვა კვარესმამ.

**სამხრეთ კორეის** ეროვნული ნაკრებს კვლავაც ჰოლანდიელი გაწვრთნის. აზიელებს ამიერიდან ნიგერიის ნაკრების ყოფილი თავკაცი ჯო ბონფრერე დამოძღვრავს. სამხრეთ კორეის ფეხბურთის ფედერაციამ ამ უკანასკნელთან სიტყვიერ შეთანხმებას უკვე მიაღწია და რამდენიმე დღეში ყველაფერი ოფიციალურადაც გაფორმდება.

**ესპანური** „ატლეტიკოს" ახალგაზრდა ვარსკვლავი ფერნანდო ტორესი კვლავ ყურადღების ცენტრშია. ბოლო დროს მისადმი ინტერესს სხვა იტალიურ კლუბებზე უფრო აქტიურად „მილანი" გამოხატავდა, თუმც საქმეში ლონდონის „ჩელსიც" ჩაერთო. როგორც ამბობენ, რომან აბრამოვიჩს ამ ტრანსფერისთვის 36 მილიონი ევრო აქვს გადადებული. აქვე აღსანიშნავია, რომ „ატლეტიკოს" „მილანისთვის" დღემდე არ გადაუხდია ბოლომდე ხოსე მარის, ხავი მორენოსა და კოზმინ კონტრას სატრანსფერო თანხა. მადრიდელებს 23,5 მილიონი ევრო მართებთ.

**ინგლისური** „ჩელსის" ფრანგ მცველ მარსელ დესაის მშობლიურ „მარსელში" სურს დაბრუნება. ეს ინფორმაცია ფრანგული კლუბის გენერალურმა მენეჯერმა პაპე დიუფმა დაადასტურა. „დესაის კლუბში დაბრუნება საკმაოდ რეალურია, თანაც ინიციატივა თავად მისგან მოდის. ჩვენ კარგად ვიცით, როგორი კლასის მოთამაშეცაა, მაგრამ ერთადერთი, რაც გვაფერხებს, ფინანსური საკითხებია" — განაცხადა დიუფმა.

**იტალიური** „იუვენტუსი" ვისენტე როდრიგესს არ ეშვება. ფაბიო კაპელოს ნახევარდაცვის გაძლიერება უნდა და ვისენტესთან ერთად ხოაკინსაც უტრიალებს. უკვე გაირკვა სავარაუდო სატრანსფერო თანხაც. ტურინელები მზად არიან, „ვალენსიას" 20 მილიონი ევრო გადაუხადონ ვისენტეში. ამ უკანასკნელს სხვა მსურველებიც ჰყავს და თავადაც უნდა კლუბის გამოცვლა, თუმცა მისი აგენტი ამბობს, კონკრეტული წინადადება ჯერჯერობით მხოლოდ „ბებერი ქალბატონისგან" მივიღეთო.

**გერმანული** „ბაიერნი" ტორსტენ ფრინგსით გაძლიერდა. იქაური პრესის ცნობით, მიუნხენელებს დორტმუნდის „ბორუსიას" ნახევარმცველი 10 მილიონი ევრო დაუჯდათ. „ბორუსია" იძულებული იყო, ფეხბურთელი გაეყიდა, რადგანაც კლუბში მძიმე ფინანსური ვითარებაა. ფრინგსი „ბაიერნში" სულ ცოტა, სამ წელს დარჩება.

**რუსული** „ჩერნომორეცის" უფროსობა კლუბის თამაშით უკმაყოფილოა და მთავარი მწვრთნელი ალექსანდრ გარმაშოვი გაათავისუფლა. მის ადგილზე ჯერჯერობით ანრავ ბუკჟანოვი იმუშავებს.




## ლიბერტადორესის თასი 2004

ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი

**რივერ პლეიტი** (არგენტინა) 2:1(პენ.4:5) **ბოკა ხუნიორსი** (არგენტინა) (0:1)

1:0 ლ. გონსალესი (50), 1:1 ტევესი (84), 2:1 ნასუტი (90)

გაძევება: ვარგასი (46, ბოკა ხუნიორსი), სამბუეზა (83, რივერ პლეიტი), ტევესი (85, ბოკა ხუნიორსი)

70 000 მაყურებელი

# ობიექტივი

გარი ლინეკერის ლუდხანაში უეინ რუნის გოლებს ზეიმობენ

მას უყვარს ფეხბურთი და რა გვიყვარს ჩვენ?

ვიქტორიამ ისმინა ხალხის ვედრება და ბარძაყები გამოაჩინა


აბა, ვინ იტყვის უარს, ასეთ სასწრაფო დახმარებაზე?!

ხვატია და გაიხადა ხორვატიაში

ფრანგული კოცნა

აბა, თქვით ყველი



რა იყო ინგლისელო, ქუშანაშვილობა მოგინდა?

სმერტინის ცოლი, ახლა ქმარს თვალებში რომ შესციცინებს, თუ გახსოვთ, ჩემპიონატამდე შიშველი პოზიორობდა

# გადაწყდა! 300 000 ლარი და ათი გუნდი უმაღლეს ლიგაში

## მდიდარი ღარიბის ადგილს ვერ იყიდის

პროფლიგის გუშინდელი კონფერენცია ჩამთავრდა ისე, როგორც მოსალოდნელი იყო — თავყრილობამ დაამტკიცა ის პროექტები, რაც პროფლიგამ უმაღლესი ლიგის კლუბებს შესთავაზა. კონფერენციამ დაახლოებით ორ საათს გასტანა, მას პირველ ლიგაში ჩამოქვეითებული „სპარტაკის“ პრეზიდენტი როლანდ ჩხაიძეც ესწრებოდა. კონფერენცია მშვიდად, კონფრონტაციების გარეშე ჩატარდა, რის შემდეგაც პრესკონფერენცია გაიმართა — ჟურნალისტთა შეკითხვებს საქართველოს ფეხბურთის პროფესიული ლიგის პრეზიდენტმა დიმიტრი რამიშვილმა უპასუხა.

— განვიხილეთ 2004-05 წლების ეროვნული ჩემპიონატის რეგლამენტი და შევაჯამეთ წინა სეზონი. ამის შემდეგ დავსახეთ ჩვენი პრიორიტეტული მიმართულებები. გადაწყდა, რომ ჩემპიონატის სისტემა შეიცვლება — დამდეგი ჩემპიონატი ჩატარდება ოთხ წრედ, გაიმართება 44 ტური. გადაწყდა ისიც, რომ 2005-06 წლების ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ათი გუნდი მიიღებს მონაწილეობას.

— დამდეგ ჩემპიონატში სამი გუნდი გავარდება უმაღლესი ლიგიდან, ხოლო ბოლოდან მეოთხე გადათამაშებაში მოჰყვება პირველი ლიგის პირველადგილოსანთან. 2004-05 წლების ჩემპიონატის უმაღლესი ლიგა 24 ივლისს დაიწყება.

— ჩამოყალიბდა კომისია, რომელიც იმუშავებს სალიცენზიო კომიტეტთან. ეს კომისია იმუშავებს იმ მიმართულებით, რაც აუცილებელი იქნება უმაღლესი ლიგის გუნდებისთვის დამდეგ სეზონში — ფინანსური გარანტია და ხარისხიანი მინდვრები.

— 2004-05 წლების ჩემპიონატში უმაღლესი ლიგის გუნდს ანგარიშზე მინიმუმ 300 000 ლარი უნდა ჰქონდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის უმაღლეს ლიგაში ვერ ითამაშებს — ეს უკვე გადაწყვეტილი საკითხია.

— არ გამოვრიცხავთ, რომ რომელიმე გუნდმა 300 000 ლარი ვერ მოაგროვოს და შესაძლოა, პირველ ლიგაში გუნდების რაოდენობა თექვსმეტიდან თვრამეტამდე გაიზარდოს.

— ზემოთ ხსენებული კომისია მომდევნო კვირიდან დაიწყებს მუშაობას და ჩემპიონატის დაწყებამდე ორი კვირით ადრე გახდება ცნობილი, თუ ვის ექნება ანგარიშზე 300 000 ლარი და ვინ ითამაშებს უმაღლეს ლიგაში. ამ კომისიაში იქნებიან წარმომადგენლები პროფლიგიდან, ფედერაციიდან, სალიცენზიო კომიტეტიდან, კომისიაში შევლენ ფინანსისტებიც და აგრონომებიც.

— ნისიაზე უმაღლეს ლიგაში ვერავინ ითამაშებს, ჩემპიონატის დაწყებამდე ორი კვირით ადრე 300 000 ლარიანი გარანტია ყველა უმაღლესლიგელს უნდა ჰქონდეს. ფინანსური გარანტიების შემოწმება ამ კომისიის პრეროგატივაა, საფეხბურთო სამყარო არ უნდა მოტყუვდეს.

— თუ რომელიმე გუნდი 300 000 ლარს ვერ მოაგროვებს და უმაღლეს ლიგაში მის ნაცვლად რომელიმე შეძლებულ ქვედალიგელს მოუნდება გადმოსვლა, ასეთი რამ თითქმის გამორიცხულია. იმედია, თორმეტივე გუნდი წარმოადგენს ფინანსურ გარანტიას, თუმც არ გამოვრიცხავ, რომ ათგუნდიან უმაღლეს ლიგაზე ახლავე გადავიდეთ.

— რაც შეეხება გუნდების საწევრო გადასახადს, დამდეგ ჩემპიონატში ეს თანხა 30 ათას ლარამდე გაიზრდება, რადგან მატჩების რაოდენობაც მატულობს. პირველ ლიგაში კი სასეზონო საწევრო 15 ათასი ლარი იქნება.

— ვისაუბრეთ „სიონის“ საკითხზეც. უშუალოდ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს მივმართეთ თხოვნით, რომ „სიონს“ საშინაო მატჩების შინ გამართვის ათმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოეხსნას. დანარჩენი სანქციები კი ძალაში რჩება — „სიონი“ მეორე კი არა, მეექვსეადგილოსნად ითვლება.

**დავით თავართქილაძე**

კონფერენციის შემდეგ ფედერაციის შენობიდან გამოსულ კლუბების ხელმძღვანელებს უკმაყოფილებას ვერ შეატყობდით. კაცმა რომ თქვას, მოულოდნელი და სენსაციური ხომ არაფერი მომხდარა და, ჩანს, ყველანი წინასწარ იყვნენ შეგუებულნი მოვლენების ასეთ განვითარებას.

„რუსთავის“ მწვრთნელი ვარლამ კილასონია და პრეზიდენტი ლაშა მინდელი

პეტრე დანელია: სიონი არ დაიშლება

# დაიმედებული სიონი ქულებს აღარ დაეძებს

## ახლა მთავარი ფულია

ვფიქრობთ, კონფერენციის მთავარი გმირები ქვემოქართლური კლუბები „რუსთავი“ და ბოლნისის „სიონი“ არიან. პირველი უმაღლეს ლიგაში კი გადავიდა, მაგრამ პროფლიგის უმთავრესი მოთხოვნის, 300 ათას ლარიანი გარანტიის წარდგენა უჭირს. მეორე კი „ოქროს მატჩში“ მომხდარი სისულელეების გამო მკაცრად დაისაჯა და ყოფნა-არყოფნის ზღვარზე იყო.

ჩვენც ნაკონფერენციევს ამ კლუბების წარმომადგენლებს — „რუსთავის“ პრეზიდენტ ლაშა მინდელს და „სიონის“ ტექნიკურ დირექტორ პეტრე დანელიას გავესაუბრეთ...

*ლაშა მინდელი:* ჯერჯერობით ბოლომდე არაფერია გარკვეული. „რუსთავი“ უმაღლეს ლიგაში გადავიდა და დიდი სურვილი მაქვს, იქ ვითამაშოთ. სამწუხაროდ, ფინანსურად გვიჭირს, მაგრამ რაღაც იმედები მაინც გვაქვს. მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ რამდენიმე ფირმასთან, მათ შორის „აზოტთან“ და თუ მათგან დადებითი პასუხი მივიღეთ, ამას რა აჯობებს. რაც უფრო მეტი ფინანსები გვექნება, მით უფრო მაღალი მიზნისთვის ვიბრძოლებთ. რა ვიცი, ამ მოლაპარაკებების იმედად ვარ და თუ ყველამ უარი გვითხრა, მაშინ დავიხურავთ ქუდს და წავალთ სახლში. სხვა გზა მოჭრილი გვაქვს. უმაღლესი ლიგის ადგილის გაყიდვაზე კი ლაპარაკი არც ყოფილა.

*პეტრე დანელია:* ჩვენთვის სასიხარულო ისაა, რომ სტადიონის ათთამაშიანი დისკვალიფიკაცია მოგვიხსნეს. ვფიქრობ, ასეც უნდა მომხდარიყო. გასაგებია, რომ „ვიტ ჯორჯიასთან“ მატჩში ცუდი რამეები მოხდა, მაგრამ ჩვენი სტადიონი აქ არაფერ შუაში იყო.

**— დისკვალიფიკაციის მოხსნის საკითხი თქვენ დააყენეთ?**

— არა, პროფლიგის პრეზიდენტმა დიმიტრი რამიშვილმა თავად წამოაყენა ასეთი წინადადება. ძალიან მიხარია, რომ სიმართლე მაინც არ დაიკარგა.

**— ესე იგი, „სიონი“ არ დაიშლება...**

— არა, უკვე თამამად შეიძლება ამის თქმა. „სიონი“ მომავალ ჩემპიონატში აუცილებლად ითამაშებს.

**— „მადნეული“ კვლავ გისპონსორებთ?**

— იმედი მაქვს, ასე იქნება. ამ დღეებში ბევრი რამ გაირკვევა. „მადნეულს“ საბოლოო უარი არ უთქვამს ჩვენთვის. ვნახოთ, როგორ მოვილაპარაკებთ.

**— „სიონიდან“ თითქმის ყველა ფეხბურთელი რომ წავიდა, რას აპირებთ?**

— დღეს ისინი სხვა კლუბებში ვარჯიშობენ, მაგრამ ერთი-ორი გამონაკლისის გარდა არავინ გაგვიშვია. ამ საკითხს დღეიდან მივხედავთ.

**— მათი დაბრუნების იმედი გაქვთ?**

— თუ მოითხოვენ განთავისუფლების ფურცლებს, მივცემთ, მაგრამ კიდევ ბევრი ნიუანსია გასათვალისწინებელი და ახლა ამ კითხვაზე საპასუხოდ მზად არ ვარ.

**— დისკვალიფიკაცია თქვენს სამ ფეხბურთელსაც ხომ არ მოუხსნეს?**

— არა, მაგრამ იმედი მაქვს, ამ სასჯელსაც შეგვიმსუბუქებენ. იმის გამო, რომ გილაურმა მსაჯის მისამართით ბურთი დაარტყა, ათთამაშიანი დისკვალიფიკაცია ზედმეტად მკაცრი სასჯელია.

**— თემურ მახარაძეს „სიონთან“ კიდევ აკავშირებს რამე?**

— სადღეისოდ მახარაძე „სიონიდან“ წასული არ არის, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ მან დაგვტოვოს. ეს ამბავი ჯერჯერობით გაურკვეველია.

**— პროფლიგისთვის 300 ათასი ლარის გარანტიის წარდგენა შეგიძლიათ?**

— ამაზე 5-6 დღეში გიპასუხებთ. ჯერ ჩვენს სპონსორებს უნდა მოველაპარაკოთ.

**— ბორის გონჩაროვის „დინამოში“ გადასვლა საბოლოოდ გადაწყდა?**

— სადაც უნდა წავიდეს, ღმერთმა ხელი მოუმართოს. გონჩაროვი „სიონში“ ჩამოყალიბდა ფეხბურთელად და ჩვენგან მოხვდა საქართველოს ნაკრებში. მისი წარმატებები ყოველთვის გაგვიხარდება.

**— მეორე ეტაპზე დაგროვილი ქულების გაუქმება ძალაში დარჩა?**

— დიახ, ამ საკითხზე არც გვილაპარაკია.

**— ესე იგი, მეექვსე ადგილზე დარჩით და ვერცხლის მედლებს უკან დააბრუნებთ?**

— არ ვიცი, ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის არავის უთქვამს, მედლები მოიტანეთო. არა მგონია, ასე მოხდეს. ისე, მინდა, ერთი საინტერესო დეტალი გაგიმხილოთ: ჩვენ ქულები თუ გაგვიუქმეს, გამოდის, რომ „დინამო“ და „ვიტ ჯორჯია“ აგროვებენ თანაბარ, 38-38 ქულას. ანუ დამატებით „ოქროს მატჩია“ საჭირო... რაღაც გაუგებარ სიტუაციაში ვხვდებით.

**ქახა შალამბერიძე**

# დინამო და ანჩა მორჩა!

**თბილისის** „დინამო“ გიორგი ანჩაბაძემ დატოვა. ეს ამბავი გუშინ, „თბილისი“ — „დინამოს“ ამხანაგურ მატჩამდე გადაწყდა და, ბუნებრივია, დინამოელთა აწ უკვე ყოფილ ლიდერს თბილისელებთან აღარ უთამაშია.

გუშინვე შევიტყეთ, რომ გიორგი ანჩაბაძე კარიერის გაგრძელებას კვიპროსზე ეშურება. ჩვენიანი ნახევარმცველის სამსახურით კვიპროსის ორი გუნდია დაინტერესებული. ანჩაბაძეს საქმე ასარჩევად აქვს და რომელ კლუბს ამჯობინებს, მომავალ კვირაში გაირკვევა.

იქამდე კი შეგახსენებთ, რომ გიორგი ანჩაბაძეს უცხოეთში უკვე უთამაშია: „დინამოში“ ხელმეორედ დაბრუნებამდე, 1998-99 წლების სეზონში ანჩაბაძე ისრაელში ჯერ აშქელონის, შემდეგ კი ქვარსავას „ჰაპოელის“ ფეხბურთელი იყო.

**დავით ერაძე**

გუშინ დულანჯაშვილის ფოტო

# ლაპარაკობს და აშენებს შუშაკი...

*თბილისის „დინამო“ განახლების გზას დაადგა. კლუბი რამდენიმე წამყვან და გამოცდილ ფეხბურთელს შეელია. ყველაფერი კი მთავარი მწვრთნელის ივო შუშაკის გათავისუფლებით დაიწყო. დრო საკმაო გავიდა, მაგრამ გულშემატკივრებს ჯერაც არ დავიწყებიათ ხორვატი და მისი როხროხა შეძახილი. ამ გაგანია ევროპის ჩემპიონატზე ხორვატიის ნაკრების წარმატებულმა თამაშმა შუშაკთან შეხმიანების კიდევ ერთი საბაბი მოგვცა, თუმცა ლაპარაკი მაინც „დინამოთი“ დავიწყეთ*



ივო შუშაკი

**— მაისის ბოლოს თბილისში გელოდით, რატომ გადაიფიქრეთ ჩამოსვლა?**

— სწორედ მაშინ, როდესაც თბილისში უნდა ჩამოვსულიყავი, „დინამომ“ „ვიტ ჯორჯიასთან“ წააგო, ამიტომაც გადავდე, არ მინდოდა, ვინმეს პროვოკატორად ჩავეთვალე, აი, „დინამომ“ წააგო და გამოჩნდაო.

**— ესე იგი, თბილისში კიდევ დიდხანს ვერ გიხილავთ?**

— არა, რატომ?! აგვისტოში ან სექტემბერში ისეთ დროს ჩამოვალ, როდესაც „დინამოს“ ან საქართველოს ნაკრებს საერთაშორისო მატჩი ექნება.

**— არაერთხელ გითქვამთ, საქართველოს იოლად ვერ დავივიწყებო...**

— მერე ვინ თქვა, რომ დავივიწყე?! ამ ორი დღის წინ მე და დრაჟენ ბრაიკოვიჩი ერთად ვიყავით და ის გაკვირვებული მიყურებდა, იმდენად ნოსტალგიურად ვლაპარაკობდი საქართველოზე, თბილისზე, ქართველებზე, „დინამოზე“. ის ორწელიწადნახევარი, რაც თბილისში გავატარე, არასოდეს დამავიწყდება, პირიქით, ყველა მენატრებით, ჟურნალისტებიდან დაწყებული, ფეხბურთელებით დამთავრებული. ასე შინაურულად თავი არსად მიგრძვნია. მე თბილისში სიამოვნებით დავბრუნდებოდი და ვიმუშავებდი.

**— თქვენით რუსული პრემიერლიგის გუნდები იყვნენ დაინტერესებული. რაიმე სიახლე ხომ არაა?**

— თბილისში ჩამოსვლის შემდეგ, აგვისტოს ბოლოს, მე და ჩემი მენეჯერი მოსკოვში გამგზავრებას ვაპირებთ. ჯერ მხოლოდ ამის თქმა შემიძლია — რუსეთში მართლაც აინტერესებთ ივო შუშაკი. თუმცა ესეც „დინამოს“ დამსახურებაა.

**— მანამდე დაისვენებთ?**

— დიახ, ასეა. ახლა ვამთავრებ ორსართულიანი ვილის მშენებლობას ადრიატიკის ზღვის ულამაზეს კურორტ ცირკვენიცაში. ორ-სამ კვირას ზღვაზე გავატარებ. ჩემი შვილი და სიძე ევროპის ჩემპიონატზე დრაან, და ჩვენ ნაკრების მატჩებს ეწვრებიან. მე დავესწრებ და ოჯახთან, მეუღლესთან, შვილიშვილებთან დარჩენა ვარჩიე.

**— ევრო 2004 ახსენეთ, თქვენი შთაბეჭდილებები...**

— ევროპის ჩემპიონატს, სამწუხაროდ, მხოლოდ გულშემატკივრის თვალით ვერ ვუყურებ. ხორვატიის ტელევიზიამ მატჩების გაძღოლა და კომენტარი მთხოვა. ჩემთან ერთად ზვონიმირ ბობანი მუშაობს. რაც შეეხება ჩემპიონატს, ძალიან კარგი თამაშებია, ძნელად პროგნოზირებადი, გუნდების უმეტესობა დაღლილობის მიუხედავად ძალიან მაღალი დონის ფეხბურთს თამაშობს. თუმცა მთავარი ახლა იწყება. ჯგუფური ტურნირის დასრულების შემდეგ ისეთი თამაშები გაჩაღდება... ალბათ საუკეთესო ჩემპიონატიც იქნება.

**— ხორვატიის ნაკრებზე რას იტყვით?**

— შვეიცარიასთან მატჩის შემდეგ ყველა უკმაყოფილი იყო ნაკრების თამაშით, თუმცა საფრანგეთთან ოტო ბარიჩმა დაამტკიცა, რომ ხორვატიას ძალიან ძლიერი ნაკრები ჰყავს.

**— თქვენი ფავორიტები?**

— შემსრულებლებით ალბათ ყველას საფრანგეთი სჯობს. მერე ჰოლანდია და იტალია მოდიან, ჩეხეთსაც გამოვარჩევდი, მაგრამ ამ ნაკრებების მთავარი ნაკლი ისაა, რომ წამყვანი ფეხბურთელები უაღრესად გადაღლილები ჰყავთ.

**— რომელმა გუნდმა გაგაკვირვათ?**

— შვედებმა და დანიელებმა, მათ ბევრის მიღწევა შეუძლიათ. რუსეთმა კი პირიქით, იმედები გამიცრუა. ამ ნაკრებს საკმაოდ ჰყავს მაღალი დონის ფეხბურთელები და მათ რომ არაფერი არ გამოუვიდათ, ეს ალბათ შიდა პრობლემების ბრალია.

**დავით ერაძე**

# ტრანსფორმაციული ტრანსფერ-ამბავი

**გუშინ** პროფლიგის კონფერენციაზე რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი გადაწყდა. გუშინვე გაირკვა კიდევ ერთი საყურადღებო რამ — ტრანსფერების საკითხი.

ფეხბურთელთა შიდა ტრანსფერების ბოლო ვადა 24 ივლისია, ჩემპიონატის დაწყების დღე. ხოლო თუ ჩვენი უმაღლესლიგელები უცხოეთიდან მოიწვევენ ფეხბურთელს, ასეთი ტრანსფერის ბოლო ვადა 31 აგვისტოა.

შეგახსენებთ, რომ თბილისის „დინამოს“ „ვიტ ჯორჯიადან“ გიორგი ადამიას და ლაშა ნოზაძის გადაბირება სურს. ამ ფეხბურთელებს „ვიტ ჯორჯიასთან“ 1 აგვისტოს უმთავრდებათ კონტრაქტი და „დინამოს“ მათი როგორც თავისუფალი აგენტების გადაბირება სურდა, ახლა კი საამისოდ სატრანსფერო თანხის გადახდა უწევს. ერთი სიტყვით, სატრანსფერო ვადები „დინამოსთვის“ ერთობ არახელსაყრელი გამოდგა.

**დავით თავართქილაძე**

## ადამია-ნოზაძე უფულოდ აღარ გამოვა



გიორგი ადამია

ადგილ ჯეფლარის ფოტო

*სულ ახლახან იყო, ბოლნისის „სიონიდან“ წასულმა დავით ჭიჭვეიშვილმა თბილისის „დინამოს“ რომ მიაკითხა. დინამოელებმა მისი საქმეში ნახვა გადაწყვიტეს და ბაქოს „ნეფთჩისთან“ ამხანაგურ მატჩშიც ათამაშეს, თუმც მერე ჭიჭვეიშვილი დიღმის გაზაზე არავის უნახავს*

ბუდრი ჯეფლარის ფოტო

# ჭიჭვეიშვილი დინამომ დააბა

ძაღლის თავი ბათუმში იპოვეს. „ბათუმის“ პრეზიდენტმა რევაზ ჩელებაძემ ექსსიონელი თავისთან მიიწვია და, როგორც გუშინწინ გვითხრა, საქმეც თითქმის გაჩარხა — ჭიჭვეიშვილს ზღვისპირულ კლუბში უნდა ეთამაშა. კონტრაქტიც დღე-დღეზე უნდა გაფორმებულიყო, მაგრამ... ნურას უკაცრავადო, „დინამომ“ ისევ გაშალა ხელები და ბათუმელებს ჭიჭვეიშვილი ცხვირწინ ააცალა. გუშინ მან „თბილისთან“ ამხანაგურ მატჩში ისევ მოირგო „დინამოს“ მაისურა.

თბილისელთა თქმით, ჭიჭვეიშვილთან საბოლოო შეთანხმება მიღწეულია და ფეხბურთელი გუნდს გერმანულ შეკრებაზეც გაჰყვება. დეტექტიური სიუჟეტი თითქმის დასრულებულია. თითქმის იმიტომ, რომ ქართული კლუბების გადამკიდე გადაჭრით ვეღარც ვამბობთ, ეს ტრანსფერი ნაღდად შედგაო.

**დავით ერაძე**

# სარგებელი: კროკო

## წარმოგიდგენთ

## ევროპის ჩემპიონატი 2004. ჯგუფური ეტაპი

© 2002 UEFA TM

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **19 ივნისი** | | | | | | |
| 21.00 | 015 | ლატვია-გერმანია | 9,0 | 4,4 | 1,3 | 2,95 | 1,13 | 1 |
| 23.45 | 016 | ჰოლანდია-ჩეხეთი | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |
| | | **20 ივნისი** | | | | | | |
| 23.45 | 017 | ესპანეთი-პორტუგალია | 2,9 | 3,0 | 2,4 | 1,47 | 1,31 | 1,33 |
| 23.45 | 018 | რუსეთი-საბერძნეთი | 4,8 | 2,5 | 1,85 | 1,64 | 1,33 | 1,06 |

### I ტაიმის შედეგი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **19 ივნისი** | | | | | | |
| 5015 | | ლატვია-გერმანია | 6,5 | 2,6 | 1,6 | 1,85 | 1,28 | 1 |
| 5016 | | ჰოლანდია-ჩეხეთი | 2,8 | 2,0 | 3,5 | 1,16 | 1,55 | 1,27 |
| | | **20 ივნისი** | | | | | | |
| 5017 | | ესპანეთი-პორტუგალია | 3,4 | 2,0 | 2,9 | 1,25 | 1,56 | 1,18 |
| 5018 | | რუსეთი-საბერძნეთი | 5,0 | 2,0 | 2,2 | 1,42 | 1,52 | 1,04 |

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **იტალია. სერია B. პლეი ოფი** | | | | | | |
| | | **19 ივნისი** | | | | | | |
| 23.30 | 103 | ვენეცია-ბარი | 2,15 | 2,7 | 3,5 | 1,19 | 1,33 | 1,52 |
| | | **20 ივნისი** | | | | | | |
| 23.30 | 104 | ფიორენტინა-პერუჯა | 2,35 | 2,8 | 3,0 | 1,27 | 1,31 | 1,44 |
| | | **იტალია. სერია C1/A. პლეი-ოფი** | | | | | | |
| | | **20 ივნისი** | | | | | | |
| 19.30 | 105 | ლუმეცანე-ჩეზენა | 2,05 | 2,6 | 4,0 | 1,14 | 1,35 | 1,57 |
| | | **იტალია. სერია C1/B. პლეი-ოფი** | | | | | | |
| | | **20 ივნისი** | | | | | | |
| 19.30 | 106 | კროტონე-ვიტერბეზე | 1,85 | 2,7 | 4,6 | 1,09 | 1,31 | 1,7 |
| | | **დანია. I დივიზიონი. XXX ტური** | | | | | | |
| | | **19 ივნისი** | | | | | | |
| 18.00 | 118 | ბ 1913-იოლსტიკე | 2,8 | 3,8 | 1,9 | 1,61 | 1,13 | 1,26 |
| 18.00 | 119 | ნორდიულანდი-ჰორსენსი | 2,15 | 3,6 | 2,6 | 1,34 | 1,17 | 1,5 |
| 18.00 | 120 | ფრედერისია-ფრემადი | 1,7 | 4,0 | 3,4 | 1,19 | 1,13 | 1,83 |
| 18.00 | 121 | ნიკობინგი-ბრიონსჰიოი | 1,45 | 4,4 | 4,4 | 1,09 | 1,09 | 2,2 |
| 18.00 | 122 | რანდერსი-ბ 93 | 1,3 | 5,0 | 5,6 | 1,03 | 1,05 | 2,64 |
| 18.00 | 123 | სილკებორგი-კიოგე | 1,5 | 4,4 | 4,6 | 1,11 | 1,13 | 2,24 |
| 18.00 | 124 | ვეილე-ფკ ორჰუსი | 1,45 | 4,4 | 5,0 | 1,09 | 1,12 | 2,34 |
| 18.00 | 125 | სკიოლდი-სიონდერიულანდი | 2,05 | 3,6 | 2,7 | 1,3 | 1,16 | 1,54 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა. XI ტური** | | | | | | |
| | | **19 ივნისი** | | | | | | |
| 19.00 | 127 | ენჩიოპინგი-ფრისკა | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1,02 | 1,16 | 2,46 |
| | | **20 ივნისი** | | | | | | |
| 19.00 | 128 | ბოდენსი-ფალკენბერგი | 1,7 | 3,4 | 4,2 | 1,13 | 1,21 | 1,87 |
| 21.00 | 129 | ბრაგე-იოსტერსი | 3,0 | 3,4 | 2,05 | 1,59 | 1,21 | 1,27 |
| 21.00 | 130 | გაის-ვესტეროსი | 1,55 | 3,6 | 5,0 | 1,08 | 1,18 | 2,09 |
| 21.00 | 131 | ვეფლე-ფრიოლუნდა | 2,2 | 3,3 | 2,8 | 1,32 | 1,23 | 1,51 |
| 21.00 | 132 | ასირისკა-ჰეკენი | 2,4 | 3,2 | 2,5 | 1,37 | 1,22 | 1,4 |
| 21.00 | 133 | ნორჩიოპინგი-ოპერა | 1,7 | 3,4 | 4,2 | 1,13 | 1,21 | 1,87 |
| 21.00 | 134 | ატვიდაბერგი-ბრომაპოიკარნა | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,19 | 1,23 | 1,67 |
| | | **ნორვეგია. ტიპელიგა. XII ტური** | | | | | | |
| | | **20 ივნისი** | | | | | | |
| 21.00 | 136 | ლილესტრიომი-ლინი | 2,05 | 3,1 | 3,4 | 1,23 | 1,27 | 1,62 |
| 21.00 | 137 | მოლდე-სტაბეკი | 1,85 | 3,3 | 3,6 | 1,18 | 1,22 | 1,72 |
| 21.00 | 138 | ვოლერენგა-ჰამარი | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 21.00 | 139 | ოდ გრენლანდი-სოგნდალი | 1,6 | 3,4 | 5,3 | 1,08 | 1,22 | 2,07 |
| 21.00 | 140 | ტრომსიო-ფრედრიკსტადი | 1,3 | 4,6 | 8,0 | 1,01 | 1,11 | 2,92 |
| | | **21 ივნისი** | | | | | | |
| 22.00 | 141 | ვიკინგი-ბრანი | 2,35 | 3,2 | 2,7 | 1,35 | 1,25 | 1,46 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ნორვეგია. I დივიზიონი. XIII ტური** | | | | | | |
| | | **20 ივნისი** | | | | | | |
| 21.00 | 154 | ალესუნდი-ჰიონეფოსი | 1,35 | 4,2 | 7,0 | 1,02 | 1,13 | 2,62 |
| 21.00 | 155 | ჰაუგესუნდი-სტარტი | 4,2 | 4,0 | 1,6 | 2,04 | 1,15 | 1,14 |
| 21.00 | 156 | ჰიოდი-ტრომსდალენი | 1,35 | 4,4 | 6,5 | 1,03 | 1,11 | 2,62 |
| 21.00 | 157 | მანდალი-რაუფოსი | 1,7 | 3,8 | 3,6 | 1,17 | 1,15 | 1,84 |
| 21.00 | 158 | მოსი-კონგსვინგერი | 2,15 | 3,6 | 2,6 | 1,34 | 1,17 | 1,5 |
| 21.00 | 159 | პორს გრენლანდი-ვარდ ჰაუგესუნდი | 1,6 | 4,0 | 4,2 | 1,14 | 1,15 | 2.04 |
| 21.00 | 160 | სკეიდი-ბრინი | 2,3 | 3,6 | 2,4 | 1,4 | 1,17 | 1,44 |
| 21.00 | 161 | სტრიომსგოდსეტი-სანდეფიორდი | 2,6 | 3,6 | 2,1 | 1,5 | 1,16 | 1,32 |
| | | **ფინეთი. ვეიკაუსლიგა. X ტური** | | | | | | |
| | | **20 ივნისი** | | | | | | |
| 20.30 | 164 | ალიანსი-ჰაამეენლინა | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| 20.30 | 165 | ჰაკა-ტურკუ | 1,45 | 3,8 | 6,0 | 1,04 | 1,16 | 2,32 |
| 20.30 | 166 | ლაჰტი-ჰიკ | 3,2 | 3,1 | 2,1 | 1,57 | 1,26 | 1,25 |
| 20.30 | 167 | როვანიემი-ჯაზი | 2,15 | 3,2 | 3,0 | 1,28 | 1,25 | 1,54 |
| 20.30 | 168 | კტპ-ტპ 47 | 1,8 | 3,3 | 3,6 | 1,16 | 1,19 | 1,72 |
| | | **ირლანდია. პრემიერლიგა. XVII ტური** | | | | | | |
| | | **19 ივნისი** | | | | | | |
| 23.30 | 183 | დერი-ლონგფორდი | 2,4 | 3,1 | 2,6 | 1,35 | 1,24 | 1,41 |
| | | **ბრაზილია. სერია A. X ტური** | | | | | | |
| | | **19 ივნისი** | | | | | | |
| 24.00 | 202 | ატლეტიკო პრ-ვიტორია | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 24.00 | 203 | გრემიო-კურიტიბა | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 02.00 | 204 | ფიგეირენსე-კრუზეირო | 2,2 | 3,2 | 2,9 | 1,3 | 1,25 | 1,52 |
| 02.00 | 205 | ვასკუ და გამა-პარანა | 1,7 | 3,3 | 4,4 | 1,12 | 1,22 | 1,88 |
| | | **20 ივნისი** | | | | | | |
| 24.00 | 206 | სან კაეტანო-პალმეირასი | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,19 | 1,23 | 1,67 |
| 24.00 | 207 | ბოტაფოგო-პონტე პრეტა | 2,5 | 3,1 | 2,45 | 1,38 | 1,23 | 1,36 |
| 24.00 | 208 | კორინთიანსი-ფლამენგო | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,23 | 1,24 | 1,62 |
| 24.00 | 209 | ვუარანი-კრიციუმა | 2,4 | 3,1 | 2,6 | 1,35 | 1,24 | 1,41 |
| 24.00 | 210 | ჟუვენტუდი-გოიასი | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,15 | 1,22 | 1,73 |
| 24.00 | 211 | პაისანდუ-სან პაულუ | 3,6 | 3,3 | 1,8 | 1,72 | 1,19 | 1,16 |
| 02.00 | 212 | სანტოსი-ინტერნასიონალი | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,23 | 1,24 | 1,62 |
| 02.00 | 213 | ატლეტიკო მნ-ფლუმინენსე | 2,2 | 3,1 | 3,0 | 1,28 | 1,26 | 1,52 |
| | | **არგენტინა. კლაუსურა. XVIII ტური** | | | | | | |
| | | **19 ივნისი** | | | | | | |
| 23.30 | 221 | ნუევა ჩიკაგო-ნიუელზი | 2,3 | 3,1 | 2,8 | 1,32 | 1,26 | 1,47 |
| 04.00 | 219 | ესტუდიანტესი-ბანფილდი | 2,45 | 3,2 | 2,45 | 1,38 | 1,22 | 1,38 |
| 05.00 | 216 | ატლეტიკო-ინდეპენდიენტე | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაგაზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **20 ივნისი** | | | | | | |
| 19.10 | 225 | ველესი-სან ლორენსო | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |
| 23.30 | 218 | ჩაკარიტა-ოლიმპო | 2,15 | 3,2 | 3,0 | 1,28 | 1,25 | 1,54 |
| 23.30 | 220 | ლანუსი-კილმესი | 2,45 | 3,1 | 2,5 | 1,36 | 1,23 | 1,38 |
| | | **ურუგვაი. პრიმერა. XIII ტური** | | | | | | |
| | | **19 ივნისი** | | | | | | |
| 23.30 | 230 | დეფენსორი-მირამარი | 2,35 | 3,2 | 2,6 | 1,35 | 1,23 | 1,43 |
| 23.30 | 234 | რენტისტასი-კოლონია | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,19 | 1,23 | 1,67 |
| 23.30 | 235 | როხა-ნასიონალი | 4,6 | 3,6 | 1,6 | 2,01 | 1,18 | 1,1 |
| | | **20 ივნისი** | | | | | | |
| 23.30 | 228 | სერიტო-ლივერპული | 1,6 | 3,5 | 4,8 | 1,09 | 1,2 | 2,02 |
| 23.30 | 229 | სერო-უონდერერსი | 2,8 | 3,2 | 2,25 | 1,49 | 1,24 | 1,32 |
| 23.30 | 231 | მალდონადო-სენტრალი | 2,35 | 3,2 | 2,6 | 1,23 | 1,23 | 1,3 |
| 23.30 | 232 | პენიაროლი-ფენიქსი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 23.30 | 233 | პლასა-დანუბიო | 5,3 | 3,8 | 1,5 | 2,21 | 1,16 | 1,07 |
| 23.30 | 236 | ტაკუარემბო-ბელა ვისტა | 2,4 | 3,2 | 2,5 | 1,37 | 1,22 | 1,4 |
| | | **აშშ. MLS. XII ტური** | | | | | | |
| | | **19 ივნისი** | | | | | | |
| 01.00 | 255 | ნიუ იორკი-ლოს ანჯელესი | 2,5 | 3,0 | 2,5 | 1,36 | 1,25 | 1,36 |
| 04.30 | 256 | ვაშინგტონი-კოლამბუსი | 2,25 | 3,1 | 2,9 | 1,3 | 1,26 | 1,49 |
| 04.30 | 257 | ნიუ ინგლენდი-კანზასი | 2,5 | 3,1 | 2,45 | 1,38 | 1,23 | 1,36 |
| 05.30 | 258 | ჩიკაგო-სან ხოსე | 2,1 | 3,1 | 3,2 | 1,25 | 1,26 | 1,57 |
| 06.00 | 259 | კოლორადო-დალასი | 2,2 | 3,1 | 3,0 | 1,28 | 1,26 | 1,52 |
| | | **იაპონია. ჯეი ლიგა. XIV ტური** | | | | | | |
| | | **19 ივნისი** | | | | | | |
| 11.30 | 271 | კაშიმა-ივატა | 2,5 | 3,1 | 2,45 | 1,38 | 1,23 | 1,36 |
| 11.30 | 272 | ჰიროსიმა-ნიიგატა | 2,15 | 3,1 | 3,1 | 1,26 | 1,26 | 1,55 |
| 11.30 | 273 | შიმიცუ-ვერდი | 2,3 | 3,1 | 2,8 | 1,32 | 1,26 | 1,47 |
| 11.30 | 274 | კობე-ჩერეძო | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1,21 | 1,25 | 1,62 |
| 15.00 | 275 | ტოკიო-ნაგოია | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1,21 | 1,25 | 1,62 |
| 15.00 | 276 | კაშივა-იოკოჰამა | 3,6 | 3,2 | 1,85 | 1,69 | 1,22 | 1,17 |
| | | **20 ივნისი** | | | | | | |
| 11.00 | 277 | გამბა-ურავა | 2,35 | 3,1 | 2,7 | 1,33 | 1,25 | 1,44 |
| 11.00 | 278 | ოიტა-იჩიჰარა | 2,3 | 3,1 | 2,8 | 1,32 | 1,26 | 1,47 |
| | | **ინტერტოტოს თასი. I ეტაპი. I მატჩები** | | | | | | |
| | | **19 ივნისი** | | | | | | |
| 18.00 | 288 | ესბიერგი-რუნავიკი | 1,1 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,01 | 4,19 |
| 19.00 | 289 | აბერისტვითი-დინაბურგი | 2,9 | 3,2 | 2,15 | 1,52 | 1,23 | 1,28 |
| 19.30 | 290 | ეთნიკოსი-ვარდარი | 2,8 | 3,3 | 1,9 | 1,51 | 1,13 | 1,2 |
| 20.00 | 291 | ჰიბერნიანსი-სლავენი | 3,8 | 3,3 | 1,75 | 1,76 | 1,19 | 1,14 |
| 22.00 | 292 | ტრნავა-დებრეჩინი | 2,15 | 3,2 | 2,9 | 1,28 | 1,23 | 1,52 |
| 23.00 | 293 | კორკი-მალმიო | 3,2 | 3,2 | 2,0 | 1,6 | 1,23 | 1,23 |
| 23.30 | 294 | პუბლიკუმი-სლობოდა | 1,6 | 3,4 | 4,8 | 1,08 | 1,2 | 1,99 |
| 23.30 | 295 | სოპრონი-ტეპლიცე | 2,3 | 3,2 | 2,6 | 1,33 | 1,22 | 1,43 |
| | | **20 ივნისი** | | | | | | |
| 18.00 | 296 | გენტი-ფილკირი | 1,3 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,1 | 2,6 |
| 18.00 | 297 | ოდენსე-ბალიმენა | 1,12 | 5,6 | 11,0 | 1 | 1,01 | 3,71 |
| 18.00 | 298 | სპარტაკი-ატლანტასი | 1,14 | 5,6 | 9,0 | 1 | 1,01 | 3,45 |
| 19.00 | 299 | სტ.ჯულია-სარტიდი | 8,0 | 5,0 | 1,2 | 3,07 | 1,04 | 1 |
| 19.00 | 300 | ბრეგენცი-ხაზარი | 1,17 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,03 | 3,21 |
| 19.30 | 301 | მარეკი-დილა | 1,25 | 3,8 | 7,0 | 1 | 1,06 | 2,46 |
| 20.00 | 302 | ტეუტა-დუბნიცა | 2,5 | 3,2 | 2,35 | 1,4 | 1,21 | 1,35 |
| 20.00 | 303 | გრევენმახერი-ტამპერე | 6,0 | 3,6 | 1,45 | 2,25 | 1,16 | 1,03 |
| 20.30 | 304 | ვეტრა-ტრანსი | 1,75 | 3,3 | 3,8 | 1,14 | 1,19 | 1,76 |
| 20.30 | 305 | თუნი-ვლორია | 1,9 | 3,2 | 3,4 | 1,19 | 1,21 | 1,64 |
| 21.00 | 306 | მიუპა-ზლინი | 2,05 | 3,2 | 3,1 | 1,24 | 1,23 | 1,57 |
| 21.00 | 307 | ოდრა-დინამო(მნ) | 2,0 | 3,2 | 3,2 | 1,23 | 1,23 | 1,6 |
| 21.30 | 308 | ვლაუნია-პაპოელი(ბ-შ) | 2,15 | 3,2 | 2,8 | 1,28 | 1,21 | 1,49 |

ერეკლეს ბალიმენა

## ფორმულა 1. აშშ. 19 ივნისი (17.00)

| 8001 გამარჯვებული | 8201 ექვსეული | 8301 უსწრ. ზრე |
|---|---|---|
| მ.შუმახერი ---------- 1,35 | 1,05 ---------- 1,02 | 1,4 |
| ბარიკელო ---------- 7,0 | 1,7 ---------- 1,1 | 5,0 |
| მონტოია ---------- 10,0 | 2,0 ---------- 1,15 | 6,0 |
| რ.შუმახერი ---------- 12,0 | 2,5 ---------- 1,17 | 10,0 |
| კულტჰარდი ---------- 40,0 | 9,0 ---------- 1,5 | 25,0 |
| რაიკონენი ---------- 25,0 | 6,0 ---------- 1,35 | 15,0 |
| ტრული ---------- 12,0 | 2,8 ---------- 1,17 | 8,0 |
| ალონსო ---------- 11,0 | 2,4 ---------- 1,15 | 7,0 |
| ბატონი ---------- 6,0 | 1,6 ---------- 1,1 | 5,0 |
| სატო ---------- 15,0 | 3,0 ---------- 1,2 | 12,0 |
| ფიზიკელა ---------- 100,0 | 25,0 ---------- 3,5 | 40,0 |
| მასა ---------- 150,0 | 30,0 ---------- 4,0 | 50,0 |
| უებერი ---------- 100,0 | 25,0 ---------- 3,5 | 40,0 |
| კლიენი ---------- 150,0 | 30,0 ---------- 4,0 | 50,0 |
| და მატა ---------- 150,0 | 30,0 ---------- 4,0 | 50,0 |
| პანისი ---------- 150,0 | 30,0 ---------- 4,0 | 50,0 |
| ჰაიდფელდი ---------- 250,0 | 50,0 ---------- 7,0 | 75,0 |
| პანტანო ---------- 300,0 | 50,0 ---------- 7,0 | 75,0 |
| ბრუნი ---------- 500,0 | 100,0 ---------- 12,0 | 100,0 |
| ბაუმგარტნერი ------- 500,0 | 100,0 ---------- 12,0 | 100,0 |

CROCO BOOKMAKERS
კროკო
ისარგებლეთ
კროკოს ახალი
მომსახურებით

CROCO BOOKMAKERS
ტელკრედიტი
TELCREDITI
10
42 00 24
+%

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე წესი ზგვგულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| | **19 ივნისი** | | |
| 5415 | ლატვია-გერმანია | 3,7 | 1,25 |
| 5416 | პოლანდია-ჩეხეთი | 1,8 | 2,0 |
| | **20 ივნისი** | | |
| 5417 | ესპანეთი-პორტუგალია | 2,0 | 1,8 |
| 5418 | რუსეთი-საბერძნეთი | 2,4 | 1,6 |

### რომელ ტაიმში ბავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| | **19 ივნისი** | | | |
| 5515 | ლატვია-გერმანია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5516 | პოლანდია-ჩეხეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | **20 ივნისი** | | | |
| 5517 | ესპანეთი-პორტუგალია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5518 | რუსეთი-საბერძნეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | **19 ივნისი** | | | | | | |
| 5115 | ლატვია-გერმანია | 12,0 | 12,0 | 20,0 | 14,0 | 5,3 | 3,5 | 30,0 | 15,0 | 1,7 |
| 5116 | პოლანდია-ჩეხეთი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| | | | | **20 ივნისი** | | | | | | |
| 5117 | ესპანეთი-პორტუგალია | 4,2 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,2 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 5118 | რუსეთი-საბერძნეთი | 7,0 | 6,0 | 20,0 | 9,0 | 4,0 | 3,6 | 20,0 | 6,0 | 2,7 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| | **19 ივნისი** | | |
| 5315 | ლატვია-გერმანია | 1,8 | 1,8 |
| 5316 | პოლანდია-ჩეხეთი | 1,65 | 1,95 |
| | **20 ივნისი** | | |
| 5317 | ესპანეთი-პორტუგალია | 1,65 | 1,95 |
| 5318 | რუსეთი-საბერძნეთი | 1,65 | 1,95 |

### რამდენი გოლი ბავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| | **19 ივნისი** | | |
| 5215 | ლატვია-გერმანია | 1,75 | 1.85 |
| 5216 | პოლანდია-ჩეხეთი | 1,65 | 1.95 |
| | **20 ივნისი** | | |
| 5217 | ესპანეთი-პორტუგალია | 1,65 | 1.05 |
| 5218 | რუსეთი-საბერძნეთი | 1,7 | 1.9 |

### სენსაციური ამბავი ოკეანგაღმიდან: საქართველოს ჯერ არშეკრებილ ნაკრებში შესაძლოა, ნბა-ს ამერიკელმა გამთამაშებლებმა ითამაშონ

# ნბა-ს ჩემპიონი საქართველოში?



## სტეფანიას ნაკრებში ამერიკელი მოჰყავს

*დიდი შანსია, მომავალ საკვალიფიკაციო ტურნირზე საქართველოს ნაკრებში ბურთი გუშინწინებზე ნბა-ში გაჩემპიონებულმა დეტროიტელმა მაიკ ჯეიმსმა გაათამაშოს. ყოველ შემთხვევაში, ჯეიმსს უკვე გამოუთქვამს ამის სურვილი ჩვენებურ ვლადიმერ სტეფანიასთან, რომელიც ამ საქმეზე ნბა-ში მომუშავე საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ერთგვარ წარმომადგენელად ჩაითვლება. მოკლედ, საქმე ასეა: ეტყობა, მთავრობა ჩვენი ფედერაციის ხელმძღვანელობას დაჰპირდა, რომ რომელიმე უცხოელ კალათბურთელს ორმაგ მოქალაქეობას მისცემს და სტეფანიასაც დაავალეს, ეგებ ვინმე გამთამაშებელი დაიყოლიოო. ვოვაც მიდგა, მოდგა და ჯეიმსი ხომ დაითანხმა და ნიუორლეანელი შემონდ უილიამსიც დაინტერესა. არის მესამე ვარიანტიც, სტეფანიას ყოფილი თანაგუნდელი „მაიამიში“ ედი ჰაუსი. ვოვამ ეს უკანასკნელი შესაძლოა, ივლისში იტალიურ შეკრებაზე ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტ ბესიკ ლიპარტელიანს შეახვედროს*

*გუშინ სტეფანიას სულ სხვა მიზეზით დავურეკეთ — მან კონტრაქტი გაახანგრძლივა „პორტლენდთან“ — მაგრამ ვოვამ აი, ასეთი ცხელი ამბები მოგვაწოდა*

— საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა დამავალა, იქნებ ვინმე გამთამაშებელი მონახო, რომელიც ორმაგი მოქალაქეობის მიღებას დათანხმდება და საქართველოს ნაკრებში ითამაშებსო.

**— ორმაგი მოქალაქეობის გაცემა ეგრე იოლად არ ხდება საქართველოში, ამას მთავრობის საგანგებო თანხმობა ესაჭიროება...**

— პროცედურული საკითხების მოგვარება მე არ მეხება, მაგას ალბათ ფედერაცია მიხედავს, მე კი ჩემს კონკრეტულ დავალებას ვასრულებ.

**— ელაპარაკე უკვე რომელიმე გამთამაშებელს?**

— ველაპარაკე სამ კალათბურთელს, რომელთაგან ორი ძალიან დაინტერესდა და თუ ჩვენი ფედერაცია საბოლოოდ გადაწყვეტს რომელიმე მათგანის აყვანას, ალბათ დაიყოლიებს კიდეც. შემონდ უილიამსს და მაიკ ჯეიმსს ამერიკის ნაკრებში თამაშის არანაირი შანსი არა აქვთ, ასე რომ, არც არაფერს დაკარგავენ, თუ საქართველოს ეროვნულ გუნდში წამოვლენ. ეს ორი კალათბურთელი ძალიან დაინტერესდა ამ წინადადებით და ლამის თანხმობაც განაცხადა.

**— მაიკ ჯეიმსი „დეტროიტში“ ჩემპიონი გახდა, არც შემონდ უილიამსია ურიგო გამთამაშებელი. გამოდის, ერთ-ერთს საქართველოს ნაკრებში ვიხილავთ?**

— ჯერ მაგაზე ლაპარაკი ნაადრევია. მოთამაშეს რომ შევარჩევ, მისი კანდიდატურა ბესიკ ლიპარტელიანს უნდა შევუთანხმო და თუ მოეწონება, მერე იტალიურ შეკრებაზე შევახვედრებ. ჯეიმსიც და უილიამსიც ძალიან კარგი გამთამაშებლები არიან და არც ერთ ევროპულ ნაკრებთან თავს არ შეირცხვენენ, მაგრამ მინდა, კიდევ უფრო ძლიერი და მრავალმხრივი მოთამაშე მოვნახო.

**— ამათზე კარგი ვინ?**

— მინდა, რომ მხოლოდ გამთამაშებელი იყოს, არამედ ორ ნომერზეც თავისუფლად თამაშობდეს და ძლიერი შემტევი პოტენციალი გააჩნდეს. მაგალითად, ედი ჰაუსი, რომელმაც პასიც იცის და სნაიპერიცაა. ჰაუსსაც ველაპარაკე უკვე, მაგრამ ჯერ ვერაფრით მოვხიბლე. ის ალბათ არ დათანხმდება საქართველოში თამაშზე, თუმც მაინც უნდა ვცადოთ. ისე კი, შემონდ უილიამსის უპირატესობა ისაა, რომ მას ევროპაში უთამაშია და თან საქართველოს ნაკრების წევრებთან — ზაზა ფაჩულიასთან „ულქერში“ და ნიკა ცქიტიშვილთან „ბენეტონში“. არ მინდა ვიჩქარო, ვნახოთ, სხვებსაც დაველაპარაკები.

**— ესე იგი, ჩვენი ნაკრების ოფიციალური სელექციონერი ყოფილხარ... დამხმარე თუ გყავს?**

— ზაზა ფაჩულიაც ამ საქმეშია ჩართული, კანდიდატურებზე ისიც ფიქრობს და ხელსაყრელს თუ ვინმეს შეარჩევს, დაელაპარაკება.

**— ნაკრების იტალიურ შეკრებამდე გამოიძებნება ვინმე?**

— ვფიქრობ, ვინმეს შევარჩევთ. იტალიაში იქნებ ერთი, ანაც შეიძლება ორი ნბა-ელი კანდიდატი ჩავიყვანო.

**— ესე იგი, შენ ნაკრებში ჩამოსვლა საბოლოოდ გადაწყვიტე...**

— ნაკრებში თამაში ისედაც გადაწყვეტილი მქონდა, ეგაა, რაღაცრაღაცეებზე ვიყავი დამოკიდებული — ტრავმა, კონტრაქტი... ახლა არც ერთი ეს პრობლემა აღარ მაწუხებს, მუხლი მომირჩა, ერთ კვირაში სრული დატვირთვით დავიწყებ ვარჯიშს, კონტრაქტიც ერთი წლით გავახანგრძლივე „პორტლენდთან“.

**— კმაყოფილი ხარ? „პორტლენდში“ ხომ შენს გარდა ორი კარგი ცენტრია — დეილ დევისი და თეო რეთლიფი...**

— მთლად კმაყოფილი არ ვარ, ალბათ მაინც შევცდი, მაგრამ სამაგიეროდ ახლა თავი ქუდში მაქვს, უარი რომ მეთქვა, მომავალი ზაფხული ისევ ამ მენეჯერებთან და აგენტებთან სირბილში და ახალი გუნდის ძებნაში უნდა გამეტარებინა. ასეთ შემთხვევაში ალბათ ნაკრებშიც ვერ ჩამოვიდოდი.

**— თუ გქონდა სხვა ვარიანტები?**

— მხოლოდ ერთი — ისევ „მაიამის“ ვუნდოდი, მაგრამ მასთან ალბათ კიდევ 2-3 თვეს ვერ გავაფორმებდი კონტრაქტს.

**— რატომ, ამ გუნდმა ხომ კარგად იცის, ვინც ხარ?**

— კი, მაგრამ მე არ ვარ ვარსკვლავი. იმ კალათბურთელების სიაში, რომელსაც „მაიამი“ უმიზნებს, ალბათ ბოლოში ვიქნებოდი და ჩემთან სულ ბოლოს მოაგვარებდნენ საქმეს. „მაიამის“ რამდენიმე ვარსკვლავი, ესე იგი, დიდხელფასიანი მოთამაშე უნდა და სანამ მათთან არ გაარკვევს ურთიერთობას, სხვებისკენ არ გაიხედავს.

**— კონკრეტულად რას გთავაზობდნენ მაიამელები?**

— სამწლიან კონტრაქტს, რაც ჩემთვის იდეალური ვარიანტი იყო, მაგრამ ხომ გითხარი, დროის გაწელვა არ მინდოდა. რა იცი, ამ ხნის განმავლობაში რა მოხდებოდა, თან მაიამელების წუწურაქობის ამბავიც კარგად ვიცი და „პორტლენდში“ დარჩენა ვარჩიე.

**— მუხლი საბოლოოდ მოირჩინე?**

— მორჩენილია, ეგაა, ჩემ გემოზე ვერ დავრბივარ. ორ კვირაში ალბათ მთელი დატვირთვით დავიწყებ ვარჯიშს და ფორმასაც აღვიდგენ.

**— რამდენიმე კვირაში იტალიური შეკრებაც დაიწყება...**

— ჰოდა, მეც ეგ მაღელვებს. დიდი ხანია, ნაკრებში არ მითამაშია და მინდა, სრულ მზადყოფნაში ვიყო, რასაც ვერ ვახერხებ. ივლისის შუა რიცხვებისთვის ალბათ სრულიად ჯანმრთელი ვიქნები, მაგრამ ალბათ ფორმა არ მექნება აღდგენილი და ცოტას ვნერვიულობ. მინდოდა, ნაკრებში მაგრად მეთამაშა.

**— გინდაც ფორმაში არ იყო, იტალიაში ხომ მაინც ჩახვალ?**

— ასპროცენტიანი. თბილისში ვერ ჩამოვდივარ ნაკრების შეკრებაზე, თორემ იტალიაში აუცილებლად ვიქნები. სხვა თუ არაფერი, ბესიკ ლიპარტელიანს საქართველოს ნაკრების კანდიდატი უნდა ჩავუყვანო.

**ირაკლი პერტაია**



### მსოფლიოს ჩემპიონატი ჭაჭაბში

ლიბია, ტრიპოლი 18 ივნისი — 13 ივლისი

კირსან ილუმჟინოვმა და მუამარ კადაფიმ ერთმანეთს გაუგეს

# პირველი კადაფია

## ვინ იქნება მეოთხე?

18 ივნისიდან 13 ივლისის ჩათვლით ლიბია მსოფლიოს ჩემპიონატს მასპინძლობს და სპონსორობას თავისთავად ამ ნავთობიანი ქვეყნის დიქტატორი მუამარ კადაფი გასწევს. ჩემპიონატის მიზანია გამოავლინოს ის მეოთხე მოჭადრაკე, რომელიც მომავალ წელს ეგრეთ წოდებულ ტიტულების „გამაერთიანებელ მატჩში“ მიიღებს მონაწილეობას. ლიბიაში გამარჯვებელ ფიდე-ს ჩემპიონს ნახევარფინალში რუს გარი კასპაროვთან მოუწევს ბრძოლა, მათ შორის მჯობნი კი ფინალში ლეკო — კრამნიკის წყვილში უძლიერესს შეხვდება.

ფიდე-ს ასეთი გადაწყვეტილებით, რამდენიმე ძლიერი მოჭადრაკე უკმაყოფილო დარჩა და უარი თქვა ასპარეზობაზე. ტრიპოლში არ ითამაშებენ ფიდე-ს რეიტინგსიის ინდუსი მეორეადგილოსანი ვიშვანათან ანანდი, მეექვსე — რუსი პეტერ სვიდლერი, ფიდე-ს მოქმედი ჩემპიონი უკრაინელი რუსლან პონომარიოვი და კიდევ სხვა დიდოსტატები.

„ჩემპიონატი, რომელიც ლიბიაშია დაგეგმილი, ფაქტობრივად საკვალიფიკაციო ტურნირია მომავალ წელს გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩისთვის, პრაღის ხელშეკრულებას კი ვადა კარგა ხანია, გაუვიდა და ვერ გამიგია, ერთეულ მოთამაშეებს რატომ ენიჭებათ ამხელა პრივილეგია. ვთვლი, რომ ეს უსამართლობაა და უარს ვამბობ ტურნირში მონაწილეობაზე“ — განაცხადა ინდოელმა დიდოსტატმა.

ჩემპიონატზე სულ 128 მოჭადრაკე მონაწილეობს და აქედან მხოლოდ ოთხია ქართველი. მათ შორის ყველაზე კარგი შინსი ზურაბ აზმაიფარაშვილს აქვს. იგი ჩემპიონატის რეიტინგში მეთოთხმეტეა, შემდეგ მოდიან ბაადურ ჯობავა 55-ე, გიორგი ყაჭეიშვილი 68-ე და მერაბ გაგუნაშვილი 89-ე.

### ქართველების პირველი მეტოქეები

მორტეზა მაჰჯუბი (ირანი) — ზურაბ აზმაიფარაშვილი (საქართველო)
მერაბ გაგუნაშვილი (საქართველო) — სუმბატ ლპუტიანი (სომხეთი)
ბაადურ ჯობავა (საქართველო) — რუბენ ფელგაერი (არგენტინა)
ვასილიოს კოტრონიასი (კვიპროსი) — გიორგი ყაჭეიშვილი (საქართველო)



# F1

**მეცხრე ეტაპი** **აშშ-ის დიდი პრიზი**

## მოტორ სპიდვეი

*ინდიანაპოლისი, 20 ივნისი*



ტრასის სიგრძე ---------- 4.192 კმ
რბოლის დისტანცია ---------- 73 წრე — 306.016 კმ

*რბოლა დაიწყება თბილისის დროით 22 საათზე*

**შარშან**: 1 მ.შუმახერი (ფერარი); 2 რაიკონენი (მაკლარენი); 3 ფრენცენი (ზაუბერი); 4 ტრული (რენო); 5 ჰაიდფელდი (ზაუბერი); 6 მონტოია (უილიამსი); 7 ფიზიკელა (ჯორდანი); 8 უილსონი (იაგუარი)

**წრის რეკორდი**: 2003 — მ.შუმახერი (ფერარი) 1:11.473 (211,1კმ/სთ)

# 0:3 გამართლდა, მოლოდინი ვერა

*საქართველოს ქალ ფრენბურთელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე მესამე მატჩი გამართა და, სამწუხაროდ, კვლავ დამარცხდა, თუმცა ეს თამაში ნაკრების არსებობის მანძილზეც მესამე იყო და ამ ფონზე ჩვენს გოგოებს ურიგო შთაბეჭდილება ნაღდად არ დაუტოვებიათ*



მარია ცარენკო ქართველებისთვის უტევს

ბაბარა დულანგაშვილის ფოტო

სლოვენია სამი მოგებით ხელდამშვენებული გვეწვია. აქედან, ორ მატჩში ჯგუფის ფავორიტებმა მოლდოვას და შვედეთს სძლიეს, სწორედ იმ ნაკრებებს, რომლებთანაც ჩვენები დამარცხდნენ. გასაკვირიც არაა, რომ მატჩის წინ თავიანთ გამარჯვებაში დარწმუნებული სტუმრები მშვენიერ ხასიათზე იყვნენ და ნერვიულობის არაფერი ეტყობოდათ.

პირველი ორი ქულა სლოვენიამ მართლაც ადვილად აიღო, მაგრამ ჩვენებმა მალე გაათანაბრეს და კარგა ხანს ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ მეტოქეს. მერე სტუმრებმა მაინც მოახერხეს და 6 ქულით გაიჭრნენ წინ. ანგარიში 6-12 იყო, ჩვენებმა მცირერიცხოვანი მაყურებლის ყიჟინის ფონზე საგრძნობლად რომ მოუმატეს და დროის მცირე მონაკვეთში სხვაობა ერთ ქულამდე შეამცირეს. 12:13 ანგარიშზე სლოვენიელთა დამრიგებელი ცოტათი ანერვიულდა და ტაიმაუტიც მოითხოვა. ვერ გეტყვით, რა უთხრა თავის შეგირდებს, მაგრამ ფაქტია, რომ მატჩის განახლების შემდეგ სტუმრებს ინიციატივა ხელიდან აღარ გაუშვიათ და სეტიც დამაჯერებლად მოიგეს — 18:25.

მომდევნო ორი სეტიც ბევრით ჰგავდა პირველს. ჩვენები თავიდან კარგად იბრძოდნენ, მეტოქეს ქულა-ქულაში ეთამაშებოდნენ, ბოლოსკენ კი სლოვენიელები უმატებდნენ და შანსს აღარ გვიტოვებდნენ. მეორე სეტი 20:25 დავთმეთ, ბოლო კი 19:25.

საქართველოს ნაკრებში თუკი ვინმე იყო გამოსარჩევი, ეს ალბათ ზემფირა ბუდაგოვა გახლდათ, რომელმაც მთელი მატჩი ბრწყინვალედ ჩაატარა. ძალიან კარგად ითამაშა ირა ნახიანმაც. აი, მარია ცარენკომ კი გამთამაშებლის როლს ნამდვილად ცუდად გაართვა თავი, თუმცა აქ ერთიცაა აღსანიშნავი: ცარენკომ ნაკრების შემადგენლობაში პირველი მატჩი ჩაატარა, თანაც რუსეთის ჩემპიონატი, რომელშიც ის ასპარეზობს, ჯერ არ დაწყებულა და მარიაც ალბათ ფორმაში არაა.

ნაკრების მთავარი სისუსტე დღეისაკენ ალბათ ბადესთან თამაში დაბლოკის დაკნებაა. აქ ჩვენი გოგონები ყველაზე მეტად ცდებოდნენ. ხუთ-მეხრივად ოთხ ბლოკიორები, მაგრამ ყველაზე თვალში საცემი მაინც ეს გახლდათ. მოთამაშეთა სიმაღლეს რაც შეეხება, სხვებს ამაშიც ჩამოუვარდებიან ჩვენი გოგონები, მაგრამ ეს ისეთი რამაა, რასაც მწვრთნელი ვერ გამოასწორებს.

მიუხედავად იმისა, რომ ნაკრებმა მოლდოვასთან და შვედეთთან კარგად ითამაშა, ამ მატჩში მაინც სლოვენიელთა იოლ და უპირობო გამარჯვებას ველოდით. დაახლოებით ისეთი განცდა იყო, ლუქსემბურგის საფეხბურთო გულშემატკივარს რომ ექნება გერმანიასთან მატჩის წინ... მაგრამ ჩვენმა გოგოებმა ბრძოლის ჟინი და საკმაოდ ნორმალური თამაში აჩვენეს.

აქვე ერთიც უნდა ითქვას — თუმცა სპორტის სასახლეში დასწრება უფასო იყო, მაყურებელი თამაშს მაინც აკლდა. ალბათ იმიტომაც, რომ ქალაქში ვერსად შენიშნავდით რაიმე აფიშის მაგვარს, რომელიც თბილისელებს მატჩის შესახებ აუწყებდა. არადა, გოგოებს ძალიან სჭირდებოდათ მაყურებლის შეძახილი. აშკარად ჩანდა, რომ როგორც კი ქომაგი ოდნავ ახმაურდებოდა და ტაშის შემოკრას არ დაიზარებდა, ჩვენები შესამჩნევად უმატებდნენ და სლოვენიელებს ანერვიულებდნენ. ვინ იცის, სპორტის სასახლე რომ სავსე ყოფილიყო... სპორტში ხომ ხშირად ხდება სასწაულები.

წინ ხორვატიასთან მატჩია. ესეც შესანიშნავი გუნდია, რომელთანაც ძალიან ძნელი იქნება ჭიდილი და კარგი იქნება, თუ მაყურებელი ჩვენს სპორტსმენებს გვერდში ამოუდგება. ხომ გახსოვთ, დასწრება უფასოა.

**ლადო ფულუკიძე**

# მესამე და სამართალი

## წავითამაშეთ, მორჩა. ახლა ნაღდად ვითამაშოთ

სამხრეთამერიკული „ბლუ ბულზი“ ხვალ ეროვნულ სტადიონზე ერთხელაც გვაჩვენებს ნაღდ რაგბის. „ხარებს“ ამჯერად ჩვენი ეროვნული გუნდი შეერკინება და ალბათ საკლუბო და „ა“ ნაკრებებზე ყოჩაღადაც დაუდგება. სტუმრებს რომ რუსთავული შემადგენლობა დაეტოვებინათ, ეგებ მოგვეგო კიდეც, მაგრამ ბოლო ამხანაგურისთვის ისინიც სერიზულად ემზადებიან. ამას ჰაიკე მაიერის მიერ დასახელებული თხუთმეტეულიც ამტკიცებს.

„ბლუ ბულზი“ ბორჯღალოსნებთან გაჯიბრებას საბრძოლო შემადგენლობით აპირებს. გუშინ დილით გამართულ თეორიულ ვარჯიშზე მწვრთნელებმა „ხარებს“ ურჩიეს, კვირას მეტი ყურადღებით ითამაშონ, აქაოდა, ძალზედ სერიოზული ოთხმოცი წუთი გველისო.

პრეტორიელთაგან განსხვავებით, საქართველოს ნაკრები საკმაოდ შესუსტებულია. ტრავმების, სავიზო თუ საკლუბო პრობლემების გამო არაერთი გამოცდილი მოთამაშე გვაკლია. შვიდი ლეგიონერიდან სამს მსოფლიოს თასის შემდეგ ნაკრების ფორმა არ მოურგია. აქვსენტი და ირაკლი გიორგაძეებსა და ოთარ ელოშვილს ჭეიშვილ-ჩავლეიშვილის გუნდში დებიუტი აქვთ. საკვირაოდ მოვარჯიშეთა შორის სამი ნამდვილი დებიუტანტიცაა. უნივერსიტეტელი აკაკი სანაძე და ლელოელი ბექა სარდანაშვილი შერკინებას გააძლიერებენ, ხოლო 19 წლის „ყოჩი“ დავით კაჭარავა სავარაუდოდ თერთმეტ ნომერზე დადგება.

როგორც ქართველთა, ისე აფრიკელთა მწვრთნელებმა უკვე დაასახელეს სავარაუდო შემადგენლობები, თუმც ჩვენი ნაკრების რიგებში შეიძლება ერთი ცვლილება მოხდეს. დღეს საფრანგეთიდან დავით ხინჩაგიშვილი ჩამოდის, რომელიც ალბათ მცხეთაში მოვარჯიშე „ბორჯღალოსნებს“ შეუერთდება.

**ოთარ მაღლაკელიძე**

გადრი კეთილაძის ფოტო

**ამხანაგური მატჩი**

20 ივნისი. „ეროვნული“. 18 საათი

| საქართველო | VS | ბლუ ბულზი |
|---|---|---|
| ოთარ ბარკალაია | 15 | იოჰან რუთსი |
| ბესიკ ხამაშურიძე | 14 | რიან ფან დერ ბერგი |
| ლაშა ფირფილაშვილი | 13 | ჯეიპი ნილი |
| ირაკლი გიორგაძე | 12 | ეტიენ ბოთა |
| დავით კაჭარავა | 11 | ფრიკი ველში |
| ბობა კვინიხიძე | 10 | ლუის სტრიდომი |
| ბიძინა სამხარაძე | 9 | ნორმან ჯორდაანი |
| ბესიკ უდესიანი | 8 | ანტონ ლეონარდი (კაპ) |
| ზვიად მაისურაძე | 7 | პიტ კრაუზე |
| დავით ბოლღაშვილი | 6 | რუან ფერმუილენი |
| მამუკა გორგოძე | 5 | ფრანსუა ფან სხოვენბურგი |
| ილო ზედგინიძე (კაპ) | 4 | დენი როსოუ |
| სანდრო ესაკია | 3 | რიჩარდ ბანდსი |
| აქვსენტი გიორგაძე | 2 | გარი ბოთა |
| გიორგი კუთარაშვილი | 1 | ვესელ რუ |
| **სათადარიგოები** | | |
| ნიკო ჭავჭავაძე | 16 | კობუს ფან დერ ვალტი |
| აკაკი სანაძე | 17 | ანდრეს ჰუმანი |
| ლევან დათუნაშვილი | 18 | ბიან ფერმააკი |
| ბექა სარდანაშვილი | 19 | კარელ ჰოფმანი |
| მერაბ კვირიკაშვილი | 20 | სკოტ მათი |
| ოთარ ელოშვილი | 21 | მორნე სტეინი |
| ნონო ანდღულაძე | 22 | დილან დეს ფონტეინი |
| დავით გასვიანი | 23 | |



**ირლანდია**

პრემიერლიგა. XVII ტური

შემროკი 1:2 სენტ პატრიკსი
ბოჰემიანსი 2:4 დუბლინი
შელბურნი 1:0 უოტერფორდი
დროჰედა — კორკ სიტი გადაიდო

**2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. აფრიკა**

საკვალიფიკაციო წრე
პირველი მატჩი

ლიბია 0:0 კამერუნი

**ესპანეთი**

სეგუნდადივიზიონი
XLII ტური

ელჩე 1:2 სალამანკა

REUTERS დეტროიტიდან



# საჩემპიონო ალბომი

ენბიეურ ფინალში „ლოს ანჯელეს ლეიკერსს“ ძლიერად „დეტროიტ პისტონზს“ იმ დღეს საჩემპიონო ალბომი მოუტანია. ერთ ფოტოზე თქვენ გუნდის მწვრთნელ ლარი ბრაუნს ხედავთ, ვის უკანაც პრეზიდენტი ტომ უილსონიც მოსჩანს. მეორეგან თავისი აფროაჯაგრული ვარცხნილობით განთქმული ბენ ვოლესი საჩემპიონო ჯილდოზე რაღაც ყვავისბუდისებრ პარიკს ამაგრებს, აქეთ კი აღლუმზე მოჯარული ხალხის წარმომადგენლებს — ახუნტრუცებულ გოგოშებსა და წესრიგის დამცველ პოლიცდეიდას ხედავთ. „პისტონზი“ ასოციაციის ჩემპიონი 1989-90 წლის შემდეგ აღარ გამხდარიყო.

REUTERS დეტროიტიდან



REUTERS ქაირროდან

# გაჩირაღდნება

ოლიმპიური ჩირაღდანი გარსაქვეყნო მოგზაურობას განაგრძობს. აზიის მერე მან აფრიკისკენ გადაინაცვლა და განთქმულ მაროკოელ მორბენალ საიდ ოუედასთან ერთად ოლიმპიზმის ისტორიაში პირველად ჩაურბინა გიზის პირამიდებს. შემდეგ ცეცხლი ასევე ისტორიაში პირველად ეწვია სამხრეთ ამერიკას და ყოფილ ბრაზილიელ ოლიმპოსან ჟოაკიმ კრუზს მისი რიო დე ჟანეირუს თავზე აღმართვის პატივი ხვდა წილად. ნასამხრეთევს ჩირაღდანმა ჩრდილოეთს მიაშურა და შეერთებულ შტატებში მოგზაურობა ლოს ანჯელესიდან დაიწყო — იქაურ „დოჯერ სთედიუმზე“ ის მორჭმულმა ჰოლივუდელმა ტომ კრუზმა გააქცუნა. უახლოეს დღეებში ჩირაღდანს სენტლუისელები, ატლანტელები და ნიუიორკელებიც იხილავენ.

REUTERS რიო დე ჟანეიროდან

REUTERS ლოს ანჯელესიდან


სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიბრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: ვიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge